პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 271 (20617) ✦ შაბათი, 25 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 23 ნოემბერს გამართულ მორიგ სხდომაზე განიხილა მოსკოვში მოწყობილი საკავშირო სტუდენტური ფორუმის შედეგები. აღინიშნა, რომ ფორუმი გახდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა ქვეყანაში, ახალგაზრდობის ცხოვრებაში. მისი მთავარი შედეგი ის იყო, რომ დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სოციალიზმის ყოველმხრივი განახლებისათვის გამიზნულ პარტიის პოლიტიკურ კურსს, სტუდენტთა მისწრაფება კვლავაც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახალხო განათლების რეფორმის განხორციელებაში.

ამავე დროს ფორუმმა გამოავლინა, რომ სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა მწვავედ რეაგირებს გადაუჭრელ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, მას არ აკმაყოფილებს განათლებისა და აღზრდის სისტემის გარდაქმნის მიმდინარეობა, ზოზინი ცხოვრების ბევრი საარსებო და მომწიფებული საკითხის გადაწყვეტაში.

მიზანშეწონილად ცნეს თანამედროვე პირობებში პარტიის ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აისახოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში სკკპ XXVIII ყრილობისადმი. ადგილობრივი პარტიული ორგანოების, სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრეს იმის საჭიროებას, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს პოლიტიკური მუშაობა სტუდენტობაში.

ყველგან უნდა გაიმართოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების გულახდილი დიალოგი სტუდენტობასთან და მოსწავლეებთან, გაითვალისწინონ მათი გუნება-განწყობილება და წინადადებანი გადაწყვეტილებათა მიღების დროს, ახალგაზრდობა ჩააბან გარდაქმნის დაჩქარებისათვის კონსტრუქციულ აღმშენებლობითს მუშაობაში. რეკომენდებულია მოეწყოს ფორუმის მუშაობის შედეგების განხილვა უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული კომიტეტების მდივანთა საკავშირო სემინარზე.

პოლიტბიუროს საჭიროდ მიაჩნია განისაზღვროს უპირველეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია სტუდენტთა და მოსწავლეთა ცხოვრების დონის ამაღლება და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, გაითვალისწინონ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცამეტე ხუთწლედის კონცეფციის შემუშავების დროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცების, განათლების რეფორმის გაღრმავების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სხვა იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ კომუნისტებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, დაევალათ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად განიხილონ დელეგატთა წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები, ფორუმის დოკუმენტები და მიიღონ მათ გამო გადაწყვეტილებები, საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებას დაევალა შემოიტანოს წინადადება საკავშირო სტუდენტური გაზეთის გამოცემის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული რუსეთის სფს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირის შედეგები, რომელმაც განიხილა ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა. ამასთან ითქვა, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კომპეტენტური და აქტიური წარმომადგენლებიდან არჩეულმა დეპუტატთა ახალმა კორპუსმა უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. პოლიტბიურომ განსაზღვრა გამართული თათბირის მონაწილეთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციის ღონისძიებანი.

მოისმინეს ინფორმაცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის თავმჯდომარესთან რ. ზიუსმუტთან და საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარესთან ლ. ფაბიუსთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ა. ი. ლუკიანოვის, ე. მ. პრიმაკოვისა და რ. ნ. ნიშანოვის შეხვედრების შედეგების შესახებ. სასარგებლოდ ცნეს საპარლამენტო ხაზით კონტაქტების განვითარება, მათთვის უფრო დინამიკური და პოლიტიკურად შინაარსიანი ხასიათის მინიჭება, რაც ჩვენი დროის რეალიებს შეესაბამება.

პოლიტბიურომ განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირის შედეგები, რომელიც გაიმართა ეკონომიკურ საკითხებზე პრაღაში, და მოიწონა თათბირზე ნ. ნ. სლიუნკოვის მეთაურობით წარგზავნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა. აღინიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთმოქმედების პრინციპულ საკითხებზე გამართულმა აზრთა გაზიარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, დემოკრატიული პრინციპების, აზრთა პლურალიზმის, ურთიერთმოქმედების მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების საფუძველზე თანამშრომლობის განვითარებისადმი მოძმე პარტიების მიდგომის შეთანხმებას.

სხდომაზე მოისმინეს ა. ნ. გირენკოს ინფორმაცია ესპანეთის კომპარტიის გენერალურ მდივანთან ხ. ანგიტასთან ესპანეთში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრის შესახებ. ხაზგასმით ითქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ესპანეთის კომუნისტური პარტიის ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავ ვითარდება და იძენს შემოქმედებით ხასიათს, ეყრდნობა აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე შეხედულებათა დამთხვევასა და დაინტერესებას საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებით.

სესიის დღიური

23 ნოემბრის დილის სხდომა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე სახალხო დეპუტატებმა იმის გადაწყვეტით დაიწყეს, რაც ვერ მოასწრეს წინა საღამოს. გაეცნენ რა იჯარის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ტექსტში შეტანილ მრავალრიცხოვან შესწორებებს, რომლებიც პლენარული დისკუსიის მსვლელობაში იშვა, მათ მიიღეს ეკონომიკური რეფორმის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ქვეყნის ახალმა უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, როგორც იტყვიან, პირველი წარდგენით. ცხარე კამათის ვითარებაში მიიღეს აგრეთვე დადგენილება, რომლითაც იჯარის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები სამოქმედოდ შემოღებული იქნება 1990 წლის 1 იანვრიდან.

გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა მეორე პროცედურული საკითხის გადაწყვეტა, რომელიც, ერთი შეხედვით, უაღრესი სიმარტივით გამოირჩევა." ოთხშაბათს საღამოს აპირებდნენ დაემტკიცებინათ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სადღესასწაულო და სამახსოვრო დღეების შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე". დეპუტატთა აქტიურობა ისეთი იყო, ხოლო აზრები იმდენად განსხვავდებოდა, რომ კამათის მონაწილეებს ბოლოს და ბოლოს თავგზა აებნათ „სადღესასწაულო" პრობლემატიკაში, და საკითხი მოიხსნა განხილვიდან.

დილით კვლავ დაუბრუნდნენ მას. აზრი ის არის, რომ ბრძანებულებით მცირდება წელიწადში პროფესიული სადღესასწაულო დღეების რიცხვი, ხოლო საერთოდ მომავლისათვის ეს საკითხი გადაეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს კომპეტენციას. ცხარე დისკუსიამ ცხადყო, რომ ჩვენს ცხოვრებაში დღესასწაულები სულაც არ არის უქმი საკითხი. და მაინც დეპუტატებმა დაამტკიცეს ბრძანებულება.

შემდეგ ა. ი. ლუკიანოვმა თავმჯდომარის ფუნქციები გადასცა რ. ნ. ნიშანოვს, და დეპუტატებს დაუდგათ მწვავე კანონშემოქმედებითი სადაგი დღეები. ამ დღეს ტრიბუნიდან განსაკუთრებით ხშირად გაისმოდა სოციალური განგაშის სიგნალები. პირველი საკითხი ასეთნაირად ჩამოყალიბდა: ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ინფორმაცია გააკეთა ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ს. სალიკოვმა, რომელმაც ჩამოაყალიბა ქვეყანაში საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობის გარკვეულწილად სისტემატიზებული სურათი. დიდი ბუნებადაცვითი ღონისძიებანი მოითხოვს მათი რეალიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრ ზრდას, რომელთა მოცულობა შემოთავაზებულია გაიზარდოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ღირებულების 3 პროცენტამდე.

პრობლემების უაღრესმა სიმწვავემ განაპირობა დადგენილების შემოტანილი პროექტის დაძაბული განხილვა. ზოგიერთი გამომსვლელი ადამიანის ეკოლოგიური დაცვის, მისი თვით არსებობის უფლების დაცვის შესახებ თავისებური მანიფესტების ხასიათს ატარებდა.

შეეხნენ რა დადგენილების კონკრეტულ პუნქტებს, დეპუტატები წინადადებას იძლეოდნენ დაემატოს მათ ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს სასწრაფო მოქმედებას ეკოლოგიური ტესტირების საჭირო ტექნიკური საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის, უნიკალური საკურორტო რეგიონების განსაკუთრებული ბუნებადაცვითი რეჟიმების ორგანიზაციას, სამელიორაციო ღონისძიებების ხელახალ ორიენტაციას, აგრეთვე შეჰქონდათ შესწორებანი დოკუმენტის ამა თუ იმ დებულების დეტალიზაციის მიზნით.

არაერთგზის დაუბრუნდნენ დეპუტატები ჩერნობილის ტრაგედიას. ამ ატომური კატასტროფის შედეგებზე გულისტკივილით ლაპარაკობდა დეპუტატი ი. ნ. შჩერბაკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკოლოგია პოლიტიკურ და სხვა დოგმებზე მაღლა უნდა იდგეს. მან გამოთქვა გაოცება, რატომ არ ესწრებიან საკითხის განხილვას ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ბუნსახკომისა და ჰიდრომეტსახკომის თავმჯდომარეები.

თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება: არის წინადადება დასახელებული ამხანაგები მოიწვიონ სხდომაზე. ეს იყო სადილის შესვენებამდე ერთი საათით ადრე. შემდგომში გამოირკვა, რომ დარბაზში ესწრებიან უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები, მაგრამ — არა მინისტრი და კომიტეტების თავმჯდომარეები.

გავიდა კიდევ ცოტა დრო, და დეპუტატებმა, გამოსვლისას, შეძლეს უკვე უშუალოდ მიემართათ დარბაზში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისადმი.

განხილვა მთელ დღეს გაგრძელდა.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ საფუძვლად მიიღო დადგენილება ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. შესაბამის კომიტეტებს დაევალათ დახვეწონ ეს დოკუმენტი შემოთავაზებულ შესწორებათა გათვალისწინებით, შემდეგ შეიტანონ იგი უზენაესი საბჭოს დასამტკიცებლად.

(საკდესი).

რეპორტაჟი

საღი აზრი იმარჯვებს

23 ნოემბერს საზოგადოებრივ გაერთიანებათა ინიციატივით თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ცხინვალისაკენ მიტინგის მოსაწყობად გაემგზავრა რამდენიმე ათასი კაცი. ამ აქციის მოწყობის მიზეზი გახდა პროცესები, რომლებიც უკანასკნელ ხანს მიმდინარეობდა ცხინვალში, განსაკუთრებით — საოლქო საბჭოს დეპუტატთა ნაწილის მიერ მიღებული უმართებულო გადაწყვეტილება. როგორც ცნობილია, ამ მოვლენებს შესაბამისი შეფასება მისცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ, ხოლო უმართებულო გადაწყვეტილებანი გააუქმა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

23 ნოემბერს გორ-ცხინვალის მიმართულებით 400-ზე მეტმა „იკარუსმა" გაიარა. ცხინვალის მისადგომებთან საავტომობილო ქარავანი შედგა, რადგან ქალაქის შესასვლელი ჩაკეტეს მილიციამ, შინაგანი სამსახურის ჯარის ნაწილებმა და ჯავშანტრანსპორტიორებმა; ქალაქის მოსახლეობამ დამატებითი ზომებიც მიიღო: უშუალოდ ცხინვალის შესასვლელი სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანებით ჩაეხერგათ, თვითონ კი ამ „ჯების" უკან მოეყარათ თავი.

სანქცირებული მიტინგი უნდა ჩატარებულიყო ცხინვალის მახლობლად სოფელ ერგნეთში. მიუხედავად ამისა, თბილისიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსულნი გაეშურნენ ცხინვალისკენ, სადაც არასანქცირებული მეგობრული მიტინგის ჩატარება სურდათ.

აქციის მონაწილეებმა შემდგომ მოითხოვეს ქალაქის ცენტრში ჩაეტარებინათ მიტინგი, რამაც ცხინვალის ოსი მოსახლეობის ნაწილის უაღრესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ქალაქში შეუწყნარებელი, დაძაბული ვითარება შეიქმნა იმის გამო, რომ გარკვეულმა წრეებმა დაყარეს პროვოკაციული, უსაფუძვლო ხმები, ვითომდა მიტინგის მონაწილენი აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. წესრიგს იცავდნენ საქართველოს შინაგანი ძალების გაძლიერებული რაზმები და სამხედრო ძალები. მიტინგის მსურველები და მოწინააღმდეგენი დიდ თავდაჭერილობას იჩენდნენ. არც ერთ მხარეს არ სურდა სიტუაციის გამძაფრება, მოსალოდნელი სისხლისღვრა და საუკუნეობით მოპოვებული მეგობრობის სამუდამოდ წაშლა. არ ყოფილა არც ერთი ინციდენტი, შეტაკების ცდა.

დასახულ აქციასთან დაკავშირებით 23 და 24 ნოემბერს ცხინვალში იმყოფებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე, პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ადგილზევე წყდებოდა ყველა საკითხი.

ამხანაგმა გივი გუმბარიძემ მიიღო პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ტელეფონოგრამა, რომელშიც ნათქვამია:

„ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებას ძლიერ აფიქრებს შექმნილი სიტუაცია, რომელიც შეექმნა საუკუნეობით განმტკიცებულ ქართველ-ოსთა ძმობას. ჩვენ ვუერთდებით ერთადერთ სწორ გზას, დავძლიოთ დაძაბულობა კონსტრუქციული საუბრებით. დიალოგით. ჩვენ მოგმართავთ, მოინახოს გზა გონივრული კომპრომისისა. ჩვენ გთხოვთ, გივი გრიგოლის ძევ, მიიღოთ ყველა შესაძლებელი საშუალება, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენი ხალხების უდიდეს მონაპოვარს — მეგობრობას. მთელი ჩვენი მშრომელი ხალხი ასეთ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით მიიღებს".

(დასასრული მე-4 გვ.).

ჩვენი აკაკი

რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის სხდომა

როგორც ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული, ისე აღინიშნება დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი. მშობელმა ხალხმა ჯერ კიდევ პოეტის ცხოვრების ხანაში აღიარა იგი გენიალური რუსთაველის კანონიერ მემკვიდრედ, სიტყვის უდიდესი ხელოვნის რანგში აიყვანა პოეტი. გადის წლები, ათწლეულები, აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი ინტერესი კი სულ უფრო იზრდება, რადგან იგი ასახავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, ეხება ადამიანის სულის ყველაზე იდუმალ სიმებს. ახლა პოეტი თანამედროვეთა წინაშე წარმოდგება მთელი თავისი სიდიადით, როგორც დიდი ჰუმანისტი, პატრიოტი, ინტერნაციონალისტი. ამიტომ იგი მუდამ ჩვენი თანამედროვეა, მისი წინასწარმეტყველური სტრიქონები ჩვენი ცხოვრების ფასდაუდებელი გაკვეთილებია. აკაკი წერეთლის ანდერძი და ოცნება ახლობელი და ძვირფასია ახლანდელი თაობებისათვის.

მისდამი უდიდესი საყოველთაო-სახალხო სიყვარულის გამოხატულება იქნება საიუბილეო ზეიმი, რომელიც გაისად უნდა გაიმართოს.

იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ამ თარიღისათვის, როგორ სრულდება საიუბილეო კომისიის მიერ დასახული ღონისძიებანი, 23 ნოემბერს გამართულ მის სხდომაზე ილაპარაკეს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და მწერლებმა.

პოეტის სამშობლოში იუბილესათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ კომისიის წევრებს აცნობა პარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ელისო ზერიძემ. მან, კერძოდ, თქვა, რომ შენდება საექსპოზიციო დარბაზი, მიმდინარეობს პოეტის მემორიალური სახლის, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების რესტავრაცია, კეთილეწყობა გზები, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დიდი კლასიკოსის ნაწარმოებების პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიების, აგრეთვე მასზე თანამედროვეთა მოგონებების გამოცემას. ამ მუშაობაში, თქვა რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ღლონტმა, ჩართულია რესპუბლიკის ყველა გამომცემლობა. მთავარი საიუბილეო გამოცემა იქნება აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებულის ხუთტომეულის გამოცემა (შემდგენლები გურამ გვერდწითელი და ემზარ კვიტაიშვილი), რომელსაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გამოუშვებს. იუბილესათვის მკითხველები მიიღებენ ამ ხელმოწერითი გამოცემის ყველა ტომს. სულ ამ თარიღისათვის გამოვა 38 დასახელების წიგნები, რომელთა შორისაა რუსულ ენაზე თარგმნილი პოეტის ნაწარმოებები, აგრეთვე პლაკატები.

საიუბილეო თარიღისათვის აქტიურად ემზადება ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც, როგორც კომისიას მოახსენა მისი გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გურამ ბუხნიკაშვილმა, გამოსაშვებად ამზადებს სამ ტომად აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა მინიატურულ გამოცემას პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის წინასიტყვაობით. საზოგადოება აპირებს მოაწყოს გამოფენა ქართველ ბიბლიოფილთა პირადი ფონდებიდან, რაიცენტრებს სოფლებში გამართოს საიუბილეო საღამოები და მკითხველთა კონფერენციები.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი, მათ შორის ბათუმსა და თელავში პოეტის ძეგლების დადგმის, საქართველოს საზღვაო სანაოსნო ხომალდისათვის მისი სახელის მინიჭების შესახებ. თავის გამოსვლაში ჯანსუღ ჩარკვიანმა, კერძოდ, გამოთქვა სურვილი, რომ სოხუმში დაიდგას აკაკი წერეთლის ბრწყინვალე ნაწარმოების „გამზრდელის" ძეგლი, რასაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. დიდი ინტერესი გამოიწვია მწერალ თამაზ ჭილაძის წინადადებამ, რომ თბილისში გაიხსნას აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი. ქალაქს შემორჩა ის სახლი, რომელშიც პოეტის სიცოცხლის დროს სასტუმრო იყო. ცნობილია, რომ ამ სახლის აივნიდან ავადმყოფი აკაკი გამოეთხოვა თავის მეგობარსა და თანამებრძოლს ილია ჭავჭავაძეს.

ითქვა, რომ საიუბილეო ზეიმის დღეებში თბილისში მოეწყობა დიდი გამოფენა, რომელიც მიეძღვნება ქართველი ერის გამოჩენილი შვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომლის „ჩონგურიც" „სიმართლეს მსახურებდა". ფირმა „მელოდია" გამოუშვებს გრამფირფიტას, რომელზეც ჩაწერილი იქნება აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. რესპუბლიკის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება ფილმები „პოეტის აკვანი", „ბაში-აჩუკი", „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში". უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, ბიბლიოთეკებში გაიმართება სამეცნიერო სესიები და საღამოები.

კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ გიორგი ციციშვილი, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ეხუქიძე, ოთარ გიგინეიშვილი, სერგი ჭილაია, ხუტა ბერულავა, ირაკლი ციციშვილი, ფრიდონ ხალვაში, გრიგოლ აბაშიძე, გურამ გვერდწითელი, ელგუჯა ამაშუკელი, ვალერი ასათიანი, ზურაბ ლაბახუა, თეიმურაზ შაშიაშვილი და სხვები. ყველა გამოსვლაში ჟღერდა აზრი, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედება ცხოველმყოფელი წყაროა, სამშობლოს სიყვარულის, სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის უძლეველი ჰიმნია. სწორედ ასეთად უნდა წარმოუდგეს შთამომავლებს, რომლებსაც მან დაუტოვა პოეტური ფორმულა „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა".

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დაინიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კვირას, 1990 წლის 25 მარტს.

2. დადგინდეს ამომრჩეველთა ნორმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქზე 11560 ამომრჩევლის გაანგარიშებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ ოცდამეერთე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოცდამეერთე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები კვირას, 1990 წლის 17 ივნისს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ

განიხილა რა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური ორგანოების წინადადებანი, „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი სერგოს ძე ჟორდანია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები:

რაუდენ შალვას ძე ბარათაშვილი — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 სამშენებლო ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კალატოზთა ბრიგადის ბრიგადირი.

ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე — ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის პროფსაბჭოს წევრი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი:

ტარიელ ნიკოლოზის ძე კულულაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ნანა აკაკის ასული ავალიანი — ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდადის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლიმა პავლეს ასული არშბა — ქ. სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

გრიგოლ რევაზის ძე ბარამიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

გიორგი (გურამ) ვახტანგის ძე გამრეკელი — თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი.

ანზორ ხასანის ძე გოგმაჩაძე — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

თამარ ნოდარის ასული დავითაძე — წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე იზორია — ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ვაჟა ივანეს ძე იმნაიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელი.

ლუდვიგ ლავრენტის ძე კოჩიევი — საოლქო საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი, ქალაქი ცხინვალი.

პარმენ იორამის ძე მარგველაშვილი — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენელი.

რომან სევერიანის ძე მიმინოშვილი — მწერალი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი.

ჯეირან ნიკოლოზის ძე ფაჩუაშვილი — საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგე.

კონსტანტინე ინოკენტის ძე ჩერეპანოვი — გენერალ-მაიორი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1989 წლის 15 აპრილისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 5 ივნისისა — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1989 წლის 9 ივნისისა — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 28 ივნისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 6 ივლისისა — „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ";

1989 წლის 10 ივლისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 10 ივლისისა — „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 15 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 1 სექტემბრისა — „კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ";

1989 წლის 21 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ";

1989 წლის 25 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1989 წლის 30 ოქტომბრისა — „1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე";

1989 წლის 30 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სახელწოდების შეცვლის შესახებ".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ნ. დ. პივოვაროვის მოხსენება

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1989 წლის 18 ნოემბერს

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

დღეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტი წარმოგიდგენთ „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტს, რომლის მიღებას პრაქტიკულად მთელი ქვეყანა მოელის. და, განსაკუთრებით, 50 ათასზე მეტი ადგილობრივი საბჭო და მათი 2 მილიონი სახალხო დეპუტატი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლის გაძლიერებაზე ბევრი ხმამაღალი და ავტორიტეტიანი სიტყვა თქმულა წინათაც. ჩვენ ყველანი ვიყავით საბჭოების როლის გაძლიერების შესახებ მრავალი დადგენილების მიღების მოწმენი. მაგრამ არც ერთი მათგანი ბოლომდე არ არის რეალიზებული, და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათში გათვალისწინებული არ არის საბჭოების რეალური ხელისუფლების მექანიზმი. ხოლო — „მათ შეუძლიათ მიიზიდონ სახსრები“, „მოვალენი არიან იზრუნონ“, „აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ“, „აქვთ უფლება შეიტანონ წინადადებანი გეგმების პროექტებში“ — ამ ტიპის და მსგავსი დეკლარაციული სურვილები, რალა თქმა უნდა, რეალურ ხელისუფლებას არ იძლევა.

ეს დადგენილებანი შეიცავდა საბჭოების ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-ძალდატანებითს მეთოდებს, მაშინ როცა თავისი ბუნებით საბჭოები ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის ორგანოებს წარმოადგენენ.

ყოველდღიური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რეალური ხელისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ თვითმმართველობისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპები. იმისათვის, რომ გადაჭრან მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების უზრუნველყოფის ყველა საკითხი, საბჭოებს უნდა ჰქონდეთ საჭირო მატერიალური და ფინანსური სახსრები.

დღეს კი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, განსაკუთრებით მათი ძირეული რგოლების, უუფლებობა ცხადი, დიდი ხნის ცნობილი ფაქტია. საბჭოები დიდსა თუ პატარაში მატერიალურად დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ სამინისტროებსა და უწყებებზე, თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე. არადა, ვინ არ იცის, ვინც ფულს იხდის, „მუსიკასაც ის უკვეთავს“.

საბჭოები, როგორც ხელისუფლების ორგანოების სისტემა, მეორეხარისხოვანი აღმოჩნდნენ არა მარტო პარტიული კომიტეტების წინაშე, არამედ სამეურნეო ორგანიზაციების წინაშეც.

საწარმოები, რომლებიც ქალაქთწარმომქმნელ ბაზას წარმოადგენენ, ჯერჯერობით არ გადაქცეულან ქალაქებისა და მუშათა დაბების განვითარებისა და სოციალური მოწყობის წყაროდ. ამას მოჰყვა ყველასათვის აშკარა პარადოქსი: რაც უფრო განვითარებულია ტერიტორია სამრეწველო თვალსაზრისით, მით უფრო შედარებით ღარიბია მისი სოციალური სფერო. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. არადა, რა მდგომარეობაშია ის საბჭო, რომლის ტერიტორიაზე საერთოდ არ არის არავითარი საწარმოები?

სიტუაციას ისიც აუარესებდა, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე თითქმის ყველა დიდი გადაწყვეტილება განმტკიცებული არ იყო საბჭოების ეკონომიკური ბაზის გაძლიერების არავითარი რეალური ღონისძიებებით.

დამრეტილი აღმოჩნდა საბჭოების ბიუჯეტები. მაგალითად, ამჟამად ყველა ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენს სსრ კავშირის მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობის 15 პროცენტზე ნაკლებს, ხოლო სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები — 0,8 პროცენტს. და ეს მაშინ, როცა 44 ათასი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე დღეს ქვეყნის მთელი მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მარტო ამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე თითქმის 100 ათასი სასოფლო დასახლებული პუნქტის დაკარგვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში არსებითად სასოფლო ბიუჯეტების ხარჯების ლამის ერთადერთი მუხლი გახდა სასოფლო აღმასკომების საშტატო მუშაკთა შენახვის ხარჯები, რომელთა რიცხვი დღეს საშუალოდ სულ 2-5 კაცს შეადგენს, ხოლო „სიღარიბე, როგორც ცნობილია, ბრძენსაც ათვინიერებს“.

მრავალი სასოფლო საბჭო პრაქტიკულად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანამატად გადაიქცა, მათ არ ძალუძთ მიიღონ გადაწყვეტილებანი ადგილობრივი ცხოვრების არც ერთ რამდენადმე მნიშვნელოვან საკითხზე. მათი უფლებამოსილებანი, მათ შორის მიწათმფლობელობის საკითხებზე, უაღრესად დეკლარაციულია. სწორედ ამიტომ ბევრგან დისკუსია გაჩაღდა იმის თაობაზე, მიზანშეწონილია თუ არა სასოფლო საბჭოების შენარჩუნება.

ქვეყანაში ჩამოყალიბებული სოციალურ პრობლემათა დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის ნარჩენობითი პრინციპი განსაკუთრებით მწვავედ აისახა ხელისუფლების ძირეულ ორგანოებზე, ამასთან ხაზს უსვამს მათდამი, როგორც მეორეხარისხოვანი რგოლებისადმი, ცენტრალური ორგანოების დამოკიდებულებას. სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებანი ოცი წელი არ სრულდება, ამ საბჭოების მესამედზე მეტი განლაგებულია მოუხერხებელ, ხშირად ავარიულ შენობებში. არ წყდება ისეთი საკითხებიც კი, როგორიც არის მათი საბეჭდი მანქანებით უზრუნველყოფა, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ტრანსპორტზე, ორგტექნიკაზე და ა. შ.

ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების თვით პრინციპი თავდაყირა აღმოჩნდა. ტერიტორიაზე გადახდევინებული გადასახდელები მიდის ზემდგომ ბიუჯეტებში, მათი ნაწილი შემდეგ ნაწილდება, ხშირად გაუპიროვნებლად, იმავე ტერიტორიებზე. ხოლო მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის მთელი თანხები საერთოდ ილექება და ზვავდება საკავშირო ბიუჯეტების საერთო მოცულობაში, ხოლო ქალაქების, რაიონების, სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებამდე მხოლოდ მისი მესამედი აღწევს.

ჰოდა, გამოდის, როგორც იმ ანდაზაშია ნათქვამი: „ტულას ევედრე და მოსკოვს ეძებეო“. სახსრების გამომუშავების შესაძლებლობათა გამონახვის ნაცვლად ადგილობრივი ორგანოები იძულებული არიან მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ მოსკოვში და რესპუბლიკების დედაქალაქებში ამ სახსრების „დაცინცვლას“.

თითქოსდა, რა უნდა იყოს იმაზე უფრო ადვილი, რომ ყველა ჯარიმა, განსაკუთრებით ქალაქებისა და სოფლების ანტისანიტარიული მდგომარეობისათვის, გარემოს გაჭუჭყიანებისათვის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის რჩებოდეს ადგილობრივ ბიუჯეტში და ხმარდებოდეს ამავე მიზნებს ამავე ქალაქებსა და რაიონებში.

მოვიყვან ასეთ მაგალითს: — ნიუ-იორკის საქალაქო ბიუჯეტში ყოველწლიურად მარტო ავტომობილების გაჩერების დარღვევებისათვის ჯარიმების შედეგად ყოველწლიურად შედის 177 მილიონ დოლარზე მეტი, ხოლო ჰონკონგში, როგორც ჩვენმა ტელევიზიამ გვაცნობა, მეეზოვეთა ნახევარზე მეტს ინახავენ სანიტარიის დარღვევისათვის ბიუჯეტში შემოსული ჯარიმების ხარჯზე.

ჩვენთან კი ყოველდღიური საკითხების გადასაჭრელად ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები არცთუ იშვიათად იძულებული არიან გამოვიდნენ მთხოვნელთა როლში, როცა საქმე ეხება სოციალურ-კულტურული ობიექტების კეთილმოწყობას, წყალმომარაგებას, მშენებლობას, რემონტს და ა. შ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საგარეუბნო ზონების სასოფლო საბჭოებში, სადაც პრაქტიკულად მთელი მოზრდილი მოსახლეობა მუშაობს ქალაქის საწარმოებში, რომლებსაც არაფერი ესაქმებათ დასახლებული პუნქტების მოწყობასთან, სადაც მათი მუშაკები ცხოვრობენ. სავალალო, შეიძლება ითქვას, ლატაკურ მდგომარეობაშია რაიონული დაქვემდებარების მრავალი ქალაქი.

დღეს ცხადია ისიც, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი უკვე დიდი ხანია პრაქტიკულად გადაიქცა ზემდგომი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალიზმად და დიქტატად, რაც ხშირად დამკვიდრებულიც კი იყო კანონმდებლობით. გამოვიდა ის შემთხვევა, რომელზეც ამბობენ „ღონე კი მერჩის, მაგრამ არ მიშვებენო“.

ადგილობრივი საბჭოები მოკლებული არიან მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე გავლენის რეალურ ბერკეტებს, არ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ ვიწროეგოისტური უწყებრივი ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც არყევს არა მარტო მოსახლეობის ცხოვრების საფუძვლებს, არამედ სსრ კავშირის კონსტიტუციის მიერ გამოცხადებული იმ პრინციპების რწმენას, რომ „სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე“. სწორად არის ჩაწერილი, უკეთესი რა უნდა იყოს. მაგრამ დასანანია, რომ პრაქტიკულად ყველაფერი ასე არ არის.

ამხანაგებო!

ვიმედოვნებ, ნათქვამიც საკმარისია, რათა ერთხელ კიდევ მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ ფაქტს, თუ რამდენად უუფლებონი არიან მთელ რიგ პრობლემებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. ამასწინანდელი ამბები, რომლებიც მოხდა კუზბასსა და დონბასში, სხვა რეგიონებში, სადაც გაფიცვების შედეგად ხელისუფლების ცალკეული ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სამუშაოდან გადააყენეს, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმის მწვავე საჭიროებას, რომ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ პრინციპულად ახალი საკანონმდებლო გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნებას, უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სრულუფლებიანობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული პროექტი სსრ კავშირის კანონისა „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ“ უთუოდ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის ხელახალი გააზრების გზაზე.

კომიტეტი მთლიანად უჭერს მხარს პროექტში ჩამოყალიბებულ იმ ძირითად მიზანდასახულობებს, რომ:

მივაღწიოთ მოსახლეობის დიდ სოციალურ აქტიურობას თვითმმართველობის ორგანოების სისხლსავსე სისტემის საშუალებით ადგილობრივი საბჭოების წამყვანი როლის უზრუნველყოფის პირობებში;

შევქმნათ რეგიონალური ეკონომიკის მართვის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სამეურნეო ანგარიშის იმ პრინციპების გამოყენებას, რომლებიც თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს წარმართავენ ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისათვის, სამეურნეო ბრუნვაში ტერიტორიული რეზერვებისა და რესურსების ჩაბმისათვის;

შევქმნათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა, მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის საიმედო გარანტიები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ კანონის პროექტში მოცემულია ამ საკითხების გადაწყვეტის საფუძველი. კანონის პროექტმა, რომელიც დაეგზავნა სსრ კავშირის ყველა სახალხო დეპუტატს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, დასაბამი მისცა მომწიფებული პრობლემების გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების კოლექტიურ ძიებას.

მაგრამ ჩვენი კომიტეტის წევრებმა მთავარი ყურადღება მიაპყრეს არა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის უპირატესობებს, არამედ მის სუსტ ადგილებს. ეს გულისხმობს, რომ პროექტში არის კონცეფტუალური ხასიათის დაუმუშავებელი ადგილები, მთელი რიგი მისი ფორმულირებანი დეკლარაციული და დაუკონკრეტებელია. კანონპროექტში ზედმეტად დეტალურად არის რეგულირებული ურთიერთობანი ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში, გაუმართლებლად შეზღუდულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია. იქ საკმაოდ ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული მრავალი ისეთი ფუძემდებელი ცნება, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძველი და ადგილობრივი მეურნეობა.

უფრო ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ჩვენი აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობის შესახებ დებულება. საბჭოების სრულუფლებიანობის უზრუნველსაყოფად უნდა განვიხილოთ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში მტკიცედ დამკვიდრებული შემოსავლის წყაროების შეტანის საკითხი, გავმიჯნოთ სხვადასხვა დონის საბჭოების ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირების წყაროები.

პროექტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის ინტერესების დაცვას, ეკონომიკურ სანქციებს ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში. ამ მიზნით კომიტეტმა სსრ კავშირის ყველა სახალხო დეპუტატს სთხოვა გამოგზავნონ თავიანთი წინადადებანი. ამჟამად გაანალიზებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისაგან, რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისაგან, სამეცნიერო კოლექტივებისაგან, ამომრჩეველთა გაერთიანებისაგან მიღებული ასობით წინადადება. აი ოთხი ტომი — ეს მხოლოდ ის არის, რაც დეპუტატებისაგან მივიღეთ.

კომიტეტის მიერ დახვეწილი პროექტი თავდაპირველი ტექსტის ლოგიკური მემკვიდრეა და უწინარესად კანონის მთავარი მიზნის კონცეპტუალურ დაკონკრეტებას გამოხატავს.

ამასთან ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ, თუ ვიწყებთ მთელი დემოკრატიული მექანიზმის საფუძვლიან მკურნალობას, უწინარეს ყოვლისა ზუსტად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ადგილობრივი საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის, მყარი ფორმებით ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირების მთელი პროცესი, ვხედავდეთ ყველა იმ გარანტიას, რომლებიც აუცილებლად უნდა შეიქმნას, რათა საბჭოების ძალაუფლებაც და ადგილობრივი თვითმმართველობაც რეალობად იქცეს, განახლებული სოციალიზმის საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ნიშნები გახდეს. დროა უკუვაგდოთ ის აზრი, თითქოს ძირეული საბჭოების სრულუფლებიანობა შეგვიძლია უზრუნველვყოთ არა ერთდროულად ადგილობრივი თვითმმართველობისაკენ გზის გაკაფვით, რომელიც წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის ორგანული შეხამებაა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მისწრაფება — უშუალო დემოკრატიის ყოველგვარი გამოვლინებანი მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების დანამატად, რაღაც არასავალდებულოდ, მეორეხარისხოვნად, ჯერ კიდევ იგრძნობა ცენტრშიც, რესპუბლიკებშიც, ადგილებზეც. ეს არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა ტერიტორიებზე საზოგადოებრივ ურთიერთობათა დემოკრატიული გარდაქმნის საწინააღმდეგო მოქმედება. ჩვენ ქალაქებშიც და სოფლებშიც გვჭირდება სრულუფლებიანი საბჭოები. ლენინური გაგებით, მათთვის ძალაუფლების მინიჭება შეუძლია მხოლოდ „ცოცხალ ძალას“.

ასეთ ძალას, და ამას უკვე გვიჩვენებს პრაქტიკა, წარმოადგენენ ძირეულ ტერიტორიულ უჯრედებში მცხოვრები მოქალაქეები. ახლა საქმე ის არის, რომ მხარი დავუჭიროთ, სტიმული მივცეთ მათს ორგანიზაციას ტერიტორიულ კოლექტივებად, რომლებიც სასოფლო და საქალაქო თვითმმართველობის სოციალური საფუძველი უნდა გახდეს. ამ კოლექტივებს, მათი კრებების, აგრეთვე ადგილობრივი რეფერენდუმების ფორმით გადასაწყვეტად შეიძლება გადაეცეს შესაბამისი ტერიტორიის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ტერიტორიათა კოლექტივების შექმნასთან ერთად, ბუნებრივია, გაიზრდება სასოფლო და საქალაქო საბჭოების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი რგოლების, როლი და პასუხისმგებლობა.

პრინციპულად ახალ მიდგომებს მოითხოვს ადგილობრივი ეფექტიანი თვითმმართველობისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა — ეს გახლავთ მისი საიმედო მატერიალურ-ფინანსური ბაზის ჩამოყალიბების პირობების შექმნა. საქმე ეხება უწინარესად ადგილობრივი ბიუჯეტის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის მთელი სისტემის ფინანსური საფუძვლის, ახლებურად გაგებას სასოფლო საბჭოს, დაბის, ქალაქის, და არა მარტო ადგილობრივი საბჭოს ფარგლებში. ამ ბიუჯეტის ჩამოყალიბება, რაშიც მსოფლიო პრაქტიკაც გვარწმუნებს, ყველაზე მიზანშეწონილია იმ გზით, რომ ყველა სამეურნეო ორგანიზაციამ და მოქალაქემ გადაუხადონ მას საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ხასიათის შესაბამისი გადასახადები.

ჩვენთან ისტორიულად ჩამოყალიბდა სხვაგვარი პრაქტიკა, და ამიტომ ხომ არ არის, რომ დღეს ხშირად ასე საცოდავად გამოიყურება ჩვენი სასოფლო და საქალაქო დასახლებანი, ასე მოუწყობელია ადამიანთა ყოფა. თუ გადასახადები, არა მარტო საწარმოებისაგან, არამედ ისინიც, მოქალაქე რომ იხდის, უწინარესად ადგილობრივ ბიუჯეტში წავა, ადამიანებს ეცოდინებათ, რომ მათი შრომის შედეგებზეა დამოკიდებული მათი სახლის, ქუჩის, ქალაქის მდგომარეობა, რომ სწორედ ისინი ინახავენ მათს მომსახურე აპარატს, მაშინ თავისთავისადმი მოთხოვნები და აპარატის მიმართ მომკითხველობა სხვაგვარი იქნება.

ჩვენ კი გეზი რამდენადმე გაგვიმრუდდა. მოსახლეობისაგან გადასახადები შედის ბიუჯეტში, მის ხარჯზე ფინანსდება საწარმო, შემდეგ კი გვინდა საწარმოსაგან ავიღოთ ეს ფული ტერიტორიის განვითარებისათვის.

ტერიტორიულ კოლექტივებს მეურნის ინტერესი უნდა ჰქონდეს ყველა ადგილობრივი საქმისადმი. მაგრამ მარტო მოწოდებებით ამ ინტერესს ვერ გამოიწვევ. ამიტომ საფუძვლიანად გვესახება წინადადებები, მივცეთ ამ კოლექტივებს საშუალება ჰქონდეთ საკუთრება. ეს საკუთრება შეიძლება იყოს ადგილობრივი ობიექტები, მოქალაქეთა შრომისა და შენატანების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნებაყოფლობითი მონაწილეობის შედეგად შექმნილი ფინანსური სახსრები.

ძირითად ტერიტორიულ უჯრედებში ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება, ბუნებრივია, საჭიროებს ისეთი დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების როლის ხელახალ შეფასებასაც, როგორიც არის რაიონი, ოლქი, მხარე. უწინარეს ყოვლისა უარი უნდა ვთქვათ იმაზე, რომ ქვემდგომ საბჭოთა ორგანოებს უწინდებურად ხელმძღვანელობდნენ ზემდგომი ორგანოები, ამასთან შევინარჩუნოთ კანონმდებლურად დადგენილი ეკონომიკური საფუძველი საბჭოების ურთიერთმოქმედებაში. სხვაგვარად ადგილობრივი თვითმმართველობა შეიძლება ჩანასახშივე ჩაკლას ნებისმიერმა ზემდგომმა ინსტანციამ.

საქმის არსი ის არის, რომ მართვის ზემდგომი რგოლები იქმნებოდეს ქვემდგომი რგოლების ინიციატივითა და გადაწყვეტილებით, რათა „ზემოთ“ დელეგირებული იყოს მხოლოდ ის ფუნქციები, რომლებიც სჭირდება „ქვედა“ რგოლებს, მაგრამ არ შეუძლიათ მათი ეფექტიანი განხორციელება. მხოლოდ ასეთი მიდგომით იქნება ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატი ფაქტობრივად ხალხის სამსახურში.

თუ ტერიტორიების ინტერესებს და, მაშასადამე, ყველა საბჭოთა მოქალაქის ინტერესებს არ დავიცავთ უწყებების, ნებისმიერი ზემდგომი კანტორის ექსპანსიისაგან, მათი დონის მიუხედავად, თუ არ მივანიჭებთ ადგილობრივ თვითმმართველობას სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს და ეფექტიანი მეურნეობრიობის მექანიზმს, ადგილებზე ნამდვილად სახალხო ხელისუფლების აღორძინების ამოცანას ვერ გადავწყვეტთ. თუ არ გვექნება მყარი საკანონმდებლო გარანტიები, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციური გარანტიები, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ახალი რგოლი ვერ დაიკავებს ღირსეულ ადგილს პოლიტიკურ სისტემაში. „ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა ფარგლების შესახებ კანონი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — უნდა გამოსცეს ცენტრალურმა პარლამენტმა... სხვაგვარი წესი წარმოუდგენელია“. დღეს, ამხანაგო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებო, — ეს ჩვენი ამოცანაა. მოვალენი ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა კანონი „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ“ კანონის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ქმედითი ინსტრუმენტი გახდეს. თავისი შინაარსით იგი უნდა იყოს ისეთი აქტი, რომელსაც ვერ „შეასწორებენ“ სამინისტროებსა და სხვა ორგანოებში და რომელიც შექმნის რეალურ პირობებს ყველა ჯანსაღი საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატვისა და გათვალისწინებისათვის.

კომიტეტში შევეცადეთ შეგვესწავლა საზღვარგარეთული გამოცდილების არსებული მასალები. დღეს ხელისუფლების დეცენტრალიზაციის, მართვისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების განმტკიცების პრინციპები ახასიათებს მსოფლიოს მეტ წილ განვითარებულ ქვეყნებს.

საზღვარგარეთული გამოცდილება ცხადყოფს, რომ თითქმის ყველგან, არის ეს ფინეთი, შვეიცარია, ინგლისი თუ საფრანგეთი, ჩინეთი, ნიდერლანდი თუ იტალია, დამთავრდა ან მიმდინარეობს კომუნების, მაზრების, ოლქების, პროვინციების, კონტონების, რეგიონების კომპეტენციის გაფართოების პროცესი მათი საშინაო პრობლემების გადაჭრაში. ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის საზოგადოებრივი რეგიონალური დაწესებულებების როლის და ტერიტორიის ეკონომიკისადმი ყურადღების გაძლიერება.

დეცენტრალიზაცია 70-80-იანი წლების მიჯნაზე მრავალი ქვეყნის რეგიონალური პოლიტიკის ახალი ეტაპის ძირითადი მიმართულება გახდა.

ავიღოთ, მაგალითად, საფრანგეთი, სადაც ადგილობრივ მმართველობას მთლიანად ხელმძღვანელობს ცენტრალური მთავრობა, იქაც კი, ჯერ კიდევ 1982 წელს, მიიღეს კანონი „კომუნების, დეპარტამენტების, რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ“, 1983 წელს კი დამატებითმა კანონმა განსაზღვრა ადგილობრივი ორგანოებისა და სახელმწიფოს უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპები და წესი.

დღეს, მას შემდეგ, რაც შევისწავლეთ მოკავშირე რესპუბლიკების თვითმმართველობის პრობლემების გადაჭრაში საკანონპროექტო საქმიანობის გამოცდილებაც, ჩვენთვის უფრო გასაგები გახდა მოთხოვნები საკავშირო კანონისადმი, რომელიც იქმნება „საერთო საწყისების“ სტატუსით.

ასეთი კანონის კონცეფციად (და ეს კომიტეტის საერთო აზრია) გვესახება შემდეგი:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები უნდა ეკუთვნოდეს მცხოვრებთა გაერთიანებას (ტერიტორიულ კოლექტივს) და ხორციელდებოდეს წარმომადგენლობითი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოების მეოხებით, საჭირო შემთხვევებში ადგილობრივი რეფერენდუმების მეშვეობით. საარჩევნო ორგანოები თავად განსაზღვრავენ თავიანთ სტრუქტურას და მუშაობის წესს, მთლიანად ავტონომიურნი არიან მათ კომპეტენციაში შემავალი ყველა გადაწყვეტილების მიღებაში. შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც არღვევენ კანონებს.

2. ახალი წარმონაქმნების ხელმძღვანელობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონით. ამასთან საოლქო დონის მმართველობის ორგანოები გვევლინებიან არა ზემდგომ ორგანოებად, არამედ ორდინატორთა როლში იმ ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებიც სცდება ცალკეული ქალაქების, რაიონების, დასახლებული პუნქტების შესაძლებლობათა ფარგლებს, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ მათ აპარატში არიან სპეციალისტები — ასრულებენ ორგანიზაციების როლს, რომლებიც უწევენ მომსახურებას და ასრულებენ საერთო-სახელმწიფო მმართველობის ფუნქციებს.

3. უნდა უზრუნველვყოთ თვითმმართველობის სისტემის ეკონომიკური ბაზა. არის წინადადება შეიქმნას ადგილობრივი მეურნეობა, რომელიც შეადგენს ტერიტორიების და მათი ფორმირების მოსახლეობის კოლექტიურ საკუთრებას. ფინანსური რეგულირების სისტემა ამავე დროს სტიმულს უნდა აძლევდეს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების საკუთარ სამეურნეო და მეწარმეობითს საქმიანობას.

ცხოვრებამ უკვე გვიკარნახა, რომ არ უნდა გვაშინებდეს ტერიტორიის სოციალური განვითარების მიზნით სახსრების გამოძებნისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაფართოება, უნდა გვაშინებდეს მხოლოდ ერთი რამ, რომ ხელისუფლების დიქტატმა ამჟამად არსებული კაბინეტებიდან არ გადაინაცვლოს ადგილობრივი საბჭოების კაბინეტებში.

აი მოკლედ, რით უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენი კომიტეტი, როცა თქვენს განსახილველად ვამაქვს კანონის პროექტის ახალი ტექსტი, რომელიც ჩამოყალიბდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისაგან და ადგილებიდან შემოსული ყველა წინადადების ანალიზისა და განზოგადების, სხვა სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინების შედეგად.

მაშ, ასე, როგორიღაა შემოთავაზებული რედაქციის კონკრეტული თავისებურებანი?

უწინარეს ყოვლისა, თეზისის თანამიმდევრული დამტკიცებით, რომ კანონპროექტი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ორგანიზაციის ნამდვილად საერთო საწყისებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სუვერენული უფლებების აღიარებით თავად განსაზღვრავდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მეტი წილი საკითხების გადაწყვეტის ფორმებსა და მეთოდებს. წარმოდგენილ პროექტში დატოვებულია მხოლოდ ის დებულებანი (მუხლების რაოდენობა 29-დან 19-მდეა შემცირებული), რომლებიც მოითხოვენ ნამდვილად საერთო მიდგომას. ეს ეთანხმება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ამხანაგების ვ. ნ. ლოპატინის, ი. ვ. პრუდნიკოვის, ს. ლ. ხარიფის, ა. კ. ოსიპოვის და სხვების წინადადებებს, ციმბირის ქალაქების ასოციაციის, ქალაქ ულიანოვსკის საქალაქო პოლიტიკური სადისკუსიო კლუბის სოციალურ-სამართლებრივი სექციის აზრს.

პრინციპულად ახალი პოზიციებიდან მიუდგა კომიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაგებას. თვით ცხოვრება მოითხოვს ამ სისტემაში შემავალი სუბიექტების წრის კარდინალურ გაფართოებას. ჩვენი ღრმა რწმენით, უკვე დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაგება აერთიანებს როგორც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, ისე შრომით კოლექტივებსაც, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოქალაქეთა გაერთიანებებს, ფორმირებებსა და მოძრაობებს, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმის საჭირო პირობებს, რომ სსრ კავშირის თითოეულმა მოქალაქემ განახორციელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება. პროექტში ახლებურად არის მოცემული იმ საზღვრების შესახებ ნორმის განსაზღვრა, რომლებშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა.

ამ პროექტში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად დამკვიდრებულია სხვადასხვა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების თავისთავადობა და დამოუკიდებლობა კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ეს ნიშნავს ერთი დონის ადგილობრივი თვითმმართველობის სუვერენობის აღიარებას მეორესთან შედარებით, და კანონმდებელმა — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ქვემდგომი ორგანოები უნდა დაიცვან ზემდგომი ორგანოების დიქტატისაგან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრებისათვის წარმოდგენილ პროექტში უფრო ფართო განზოგადებელი სახით წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური ბაზის ცნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკურ ბაზას უნდა შეადგენდეს ბუნებრივი რესურსები (მიწა, მისი წიაღი, წყლები, ტყეები, საჰაერო სივრცე), იმ სუბიექტების საკუთრება, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ეწევიან შესაბამის ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა საკუთრება.

ეს არ ნიშნავს, თითქოს მიწა, წყალი, საწარმოთა და მოქალაქეთა საკუთრება ნავარაუდევია ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ გადაეცეს საკუთრებად ადგილობრივ თვითმმართველობას. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური ბაზა ყალიბდება ამ ტერიტორიაზე არსებული ყველა სახეობის საკუთრებისაგან, რომლებიდანაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ან ბიუჯეტგარეშე ფონდებში შედის ესა თუ ის გადასახდელი.

პროექტში შემოღებულია ახალი ცნება — ტერიტორიული კოლექტივები. ეს არის სოციალისტური თვითმმართველობის მქონე გაერთიანებანი, რომლებსაც აქვთ საკუთარი კომპეტენცია და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოფენ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტას ადგილობრივი და საერთო-სახალხო ინტერესების შეხამების საფუძველზე.

წარმოდგენილ პროექტში მოცემულია ადგილობრივი მეურნეობის სხვაგვარი განმარტება. იგი განეკუთვნება ტერიტორიის მოსახლეობის კოლექტიურ საკუთრებას (ტერიტორიული კოლექტივის საკუთრებას), რომლის განკარგვის უფლება ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ. ჩვენი აზრით, ძალაუფლებას, რომელიც ხალხს ეკუთვნის, საფუძვლად უნდა ედოს მისივე კუთვნილი საკუთრება, უნდა ჰქონდეს რეალური მატერიალური საფუძველი.

ნავარაუდევია, რომ ტერიტორიული კოლექტივის საკუთრება უნდა ყალიბდებოდეს იმ საკუთრებისაგან, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცემენ სახელმწიფო, სხვა სუბიექტები, აგრეთვე საკუთრება, რომელსაც ქმნიან და იძენენ ადგილობრივი საბჭო, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოები.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ის დებულება, რომ ადგილობრივი საბჭოების სამეურნეო ურთიერთობა იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც არ შედიან ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში, იგება სახელშეკრულებო საფუძველზე. ეს ურთიერთობა უნდა იყოს პარტნიორული, ეფუძნებოდეს ეკონომიკურ პრინციპებს და არა ძალადურ ზემოქმედებას.

არსებითი ცვლილებანი განიცადა კარმა — „ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო საფუძველმა“. აქ გამოყენებულია ცდა საფუძველი ჩაეყაროს იურიდიულ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმალურ დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთ სურვილებს შეიცავდნენ, მაგალითად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ვ. გ. კოვალიოვის, გ. ა. რაზბივნაიას, ი.ა. ტოლსტოუხოვის, ს. გ. შაპხაევის, ნოვგოროდის, კემეროვოს, ვინიცის, კურგანის, ომსკის, პენზისა და მთელი რიგი სხვა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების წინადადებანი.

ჩვენ შეგნებულად დავთანხმდით მნიშვნელოვან დაკონკრეტებას ამ განყოფილებაში, რომელიც კანონში ზედმეტია, მაგრამ პროექტში დასაბუთებული, გამოგვაქვს განსახილველად ისეთ პირობებში, როცა არ არის დაბეგვრის სისტემის შესახებ მოქმედი კანონი.

ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რას ვესწრაფვით, გვეჩვენებინა გზები, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეიძლება მიგვიყვანოს საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის რეალურ განმტკიცებასთან.

კანონის მეორე წაკითხვა იქნება დაბეგვრის შესახებ კანონის მიღების შემდეგ და, შესაბამისად, ზედმეტი დაკონკრეტება ჩვენი პროექტიდან გაქრება.

პროექტში დამკვიდრებულია ის აზრი, რომ ადგილობრივი საბჭოები დამოუკიდებლად ამუშავებენ და ამტკიცებენ თავიანთ ბიუჯეტებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებისათვის განსაზღვრავენ მათ მინიმუმს, რომ სხვადასხვა დონის საბჭოების ბიუჯეტები დამოუკიდებელია, ბიუჯეტების შემუშავებისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ დამტკიცების პროცესში ზემდგომი ორგანოების ჩარევა შეუწყნარებელია.

კომიტეტს პრინციპულად საჭიროდ მიაჩნია ნორმა ადგილობრივ ბიუჯეტში ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეებისაგან საშემოსავლო გადასახადის სრული მოცულობით ჩარიცხვის შესახებ. მხოლოდ ასეთი ღონისძიება დაგვეხმარება, ჩვენი აზრით, ფეხზე დავაყენოთ სუსტად განვითარებული სამეურნეო პოტენციალის მქონე მრავალი ქალაქი, დაბა და სასოფლო საბჭო.

ჩვენ გთავაზობთ მოვხსნათ ყოველგვარი რეგლამენტაცია ადგილობრივი ბიუჯეტების გასავალს, ვფიქრობთ რა, რომ ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვს დამოუკიდებლად ხარჯონ ბიუჯეტის სახსრები, დააწესონ მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების ოდენობა, ამ აპარატის, აგრეთვე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მუშაკების თანამდებობრივი სარგოებისა და სატარიფო განაკვეთების დანამატები.

ამხანაგო დეპუტატებო, სსრ კა[illegible] „სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძირითადი უფლებამოსილების“ გამო დისკუსიის დროს კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ კანონი „...ზოგადი საწყისების შესახებ“ ასე დაწვრილებით არ უნდა არეგლამენტებდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას. ამიტომ პროექტის თქვენს საყურადღებოდ შემოთავაზებულ რედაქციაში ასეთი განყოფილება, როგორც შეამჩნიეთ, არ არის. მისი ცალკეული ნორმები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს, შევიდა სხვა განყოფილებებში. საკითხის ასეთი დაყენება ეთანხმება დეპუტატების პ. მ. ტალანჩუკის, ე. ე. სავისაარის, ვ. ვ. გულიას, ა. ა. ვიქტოროვიჩის და სხვების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ეკონომიკისა და სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის ინსტიტუტის წინადადებებს.

რამდენადმე სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული აგრეთვე კარი „ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები“. არსებითი გარანტიები, ჩვენი აზრით, უნდა გახდეს ისეთი ნორმები, როგორიცაა:

— შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნისა თუ გარდაქმნის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს ადგილობრივი საბჭოს თანხმობის მიუღებლად;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების უფლება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, აქვს მხოლოდ სასამართლოს. ვფიქრობთ, ასეთი ნორმა ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ კანონის პროექტში აღძრულ პრობლემათა სირთულისა და პრინციპულობის, მრავალრიცხოვანი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, ზოგჯერ კი დიამეტრულად საპირისპირო წინადადებების სიუხვის გამო ჯერ ვერ მოხერხდა ყველა მისი დებულების დახვეწა. ჯერ ვერ გამოინახა საბოლოო პასუხი საკითხზე სსრ კავშირის ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულირების ფარგლების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის მისი დონეების მიხედვით კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მმართველობის სახელმწიფო ორგანოების ურთიერთმოქმედების შესახებ, ვერ მოხერხდა უზრუნველგვეყო საჭირო გარანტიები ადგილობრივი თვითმმართველობის მტკიცე მატერიალურ-ფინანსური ბაზის ფორმირებაში.

პროექტში საბოლოოდ არ არის დახვეწილი ამ საკითხების რეალიზაციის მექანიზმები. ეს ბუნებრივია, რადგან მათი საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება ისინი ჩამოყალიბებული საკუთრების, მიწის, დაბეგვრის, სოციალისტური საწარმოს, იჯარის, მოკავშირე რესპუბლიკაში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონებში.

ამხანაგო დეპუტატებო!

დღეს ჩვენმა კომიტეტმა წარმოგიდგინათ, იქნებ, ფორმით რამდენადმე ლაკონიური, ცალკეული ფორმულირებების ნაწილში ბოლომდე იურიდიულად დაუხვეწავი, მაგრამ, როგორც გვგონია, თავისი არსით კონცეპტუალურ-პროგრესული პროექტი. და ეს არის, ჩვენი აზრით, მთავარი. ეს არის ის, რომ მისი მიზანია საბჭოების მუშაობის კარდინალური გარდაქმნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს როლის, შესაძლებლობებისა და ფუნქციების სრული ხელახალი გააზრება.

ჩვენ გვესმის, რომ შემოთავაზებულ პროექტში პრაქტიკულად საქმე ეხება არსებული საბიუჯეტო სისტემის, დაბეგვრის სისტემის, საკუთრების ცნებების მსხვრევას. ჩვენი აზრით, ეს გარდაუვალია, თუ ნამდვილად გვსურს დავადგეთ ხალხის თვითმმართველობის გზას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ ეს საჭიროა, რადგან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ყალიბდებოდეს პრინციპულად ახალი სამართლებრივი და ეკონომიკური როლის გათვალისწინებით, რომელიც მან უნდა შეასრულოს საზოგადოებაში „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენ აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ პროექტში მოცემულ მიდგომებს თქვენ გაითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხილვისა და დახვეწის დროს. ერთხელ კიდევ ჩამოვთვლი მათ. ეს არის კანონები საკუთრების, მიწის, დაბეგვრის, სოციალისტური საწარმოების, იჯარის, მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების შესახებ. ამასთან, ჩვენი აზრით, ყველაზე სწორი იქნებოდა, ეს შვიდივე კანონი, მათ შორის ჩვენ მიერ შემოთავაზებულიც, მიგვეღო ერთი პაკეტით, თანაც შემოგვეღო ერთდროულად.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ავსტრია

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ვენა. აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების საკითხთა ორგანიზაციის შეთანხმებას მოსკოვში ამ ორგანიზაციის საერთაშორისო სამრეწველო თანამშრომლობის ცენტრის შექმნის შესახებ. მისი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს განვითარებული და განვითარებადი მრეწველობის მქონე სახელმწიფოთა ფირმებთან საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების პირდაპირი ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებას.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ლავეროვმა, რომელიც მონაწილეობს ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების საკითხთა ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაში, და ამ ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა დომინგო სიაზონმა.

● პოლონეთი

ახალი პოლიტიკური პროვოკაცია

ვარშავა. პაპის სააგენტომ პრესაში გაავრცელა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

როგორც ცნობილი გახდა ნოვაგუტეში, კრაკოვის მახლობლად, დაწვეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. ეს ვანდალიზმის აქტია. უფრო მეტიც. დღევანდელ დღეს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. მაზოვეცკის მოსკოვში გამგზავრების წინ ასეთ აქციას პოლიტიკური პროვოკაციის ნიშნები აქვს და მტკიცე გმობას იმსახურებს.

ვოევოდის პროკურატურამ კრაკოვში დაიწყო ამ საქმის გამოძიება.

● აშშ

მცირდება იმიგრანტთა რიცხვი

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა შეცვალა პოლონელი და უნგრელი იმიგრანტებისათვის ლტოლვილთა სტატუსის მინიჭებისა და მათთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის ნებართვის გაცემის შესახებ საკითხთა განხილვის წესი. როგორც განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მ. ტატუაილერმა, შეწყდა უნგრელებისა და პოლონელებისაგან ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებათა მიღება, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მათ „უშუალოდ ექმნებათ საფრთხე პოლიტიკური მოტივებით“.

იმ პირთა განცხადებები, რომლებსაც არა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნათესაური კავშირი, არ განიხილება. ტატუაილერმა აღნიშნა, რომ 1990 საფინანსო წლის ბიუჯეტი შეიცავს შეზღუდვებს ლტოლვილთა სტატუსის მინიჭებაზე.

ეს შეზღუდვები, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ბევრად წაავავს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის დამდეგს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც სსრ კავშირიდან იმიგრაციის არსებით შემცირებას იწვევს. ხელისუფალთ არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ დააფინანსონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლტოლვილთა სტატუსის პრეტენზიის მქონე ყველა პირთა გადასახლება, რომლებიც ელიან შესვლის ნებართვას, წერს გაზეთი.

პასუხისმგებლობისა და ავტორიტეტის წახნაგები

განუკითხაობა

კვლავ მიტაცებული მიწებისა და დაუსჯელი დამნაშავეების შესახებ

ყველა სიმდიდრეს შორის, რომელსაც კაცობრიობა ფლობს, მიწა უპირველესია. ეს ძვირფასი განძი თაობებს ასაზრდოებს. მისი განიავება განსაკუთრებით დაუშვებელია საქართველოში — ქვეყნის ერთ-ერთ მცირემიწიან რესპუბლიკაში. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ქართველმაც და არაქართველმაც, და თვალისჩინივით უფრთხილდებოდეს მას.

სამწუხაროდ, მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით ოთხმოციანი წლებიდან, ჭარბმოსახლეობიან გარდაბნის რაიონშიც ღრმად გაიდგა ფესვი მიწების დატაცების, განიავების, სახლების უკანონო მშენებლობის მავნე პრაქტიკამ. მიწებს მასობრივად იტაცებდა არა მარტო რაიონის მოსახლეობა, არამედ მეზობელი რესპუბლიკებიდან გადმოხვეწილი მოძალადენი. ამ საქმეში სრული განუკითხაობა იყო. და ყოველივე ეს ხდებოდა რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდამცავი ორგანოების თვალწინ, მათი წაყრუებითა და ხელისშეწყობით, ამ საქმეში ჯერაც არ არის წესრიგი დამყარებული.

საზოგადოებრივი მიწების დატაცებამ და უკანონო მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო ფონიჭალის სასოფლო საბჭოში. ეს გამოიწვია საქმისადმი საბჭოსა და მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა ხელმძღვანელების დამოკიდებულებამ. კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში შვიდი წლის წინათ მომხდარმა ხანძარმა შეიწირა მიწათსარგებლობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები, რომელთა აღდგენაზე არავის უზრუნია, მათ შორის მეურნეობის ახლანდელ დირექტორს ო. ლორთქიფანიძესაც. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აქ საკარმიდამო ნაკვეთების ინვენტარიზაციაც არ ჩატარებულა. ამ არეულობაში ყველა ითბობდა ხელს. 89 ნაკვეთის შერჩევითი აზომვის დროს 38 მოქალაქეს ზედმეტად აღმოაჩნდა 3,1 ჰექტარი; 9 ოჯახი, რომელთა არც ერთი წევრი არ მუშაობს მეურნეობაში, კვლავაც ფლობდა რამდენიმე წლის წინათ ოფიციალურად ჩამორთმეულ 1,72 ჰექტარ ფართობს.

კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის ხელმძღვანელთა ხელგაშლილობა ერთ დროს იქამდე მისულა, რომ მუშა-მოსამსახურეთა 189 ოჯახისათვის დროებით სარგებლობაში გამოუყვიათ 14,38 ჰექტარი, მაგრამ შემდგომში დროებითი მუდმივი გამხდარა და უკანონო მფლობელებს ამ ფართობზე ბაღ-ვენახებიც გაუშენებიათ და ნაგებობებიც აუგიათ.

ფონიჭალის „ნაძალადევის“ უბნის მცხოვრებლები ძალად 0,45 ჰექტარ ფართობს დაუფლებიან. როცა ეს ფაქტი გამოვლინდა, სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი — თ. მოსაშვილი) საქმის გამოსწორების იოლი გზა გამონახა: მიწის მიმტაცებლებთან საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა, ამით მიწა კვლავ შეუნარჩუნა მათ.

ჰაიჰარად ეკიდება მიწას ამავე საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე კრწანისის ტყე-პარკის ხელმძღვანელობა (დირექტორი — ა. ფანჩულიძე). „მტკვრის ჭალაში“ 72 ოჯახი უნებართვოდ ფლობდა 8,1 ჰექტარს, ტყე-პარკის მუშები ყურბან მამედოვი და მილიადინ ჰუსეინოვი კი უმეთვალყურეობით ისე გათავხედდნენ, რომ პარკის ტერიტორიაზე დამხმარე ნაგებობების მშენებლობაც კი წამოიწყეს და, ვინ იცის, იგი სახლებად ქცეულიყო, საქმეში მილიცია რომ არ ჩარეულიყო.

ის, რაც სართიჭალის სასოფლო ტერიტორიაზე წლობით ხდებოდა, ამაზრზენია და გულსაკლავი. 52 ოჯახს მიტაცებული აღმოაჩნდა 14 ჰექტარი საუკეთესო მიწა. სოფელთან კავშირგაწყვეტილი 14 ოჯახი კვლავაც ფლობდა 3,7 ჰექტარს, აღწერილი 1765 კომლიდან 230 ოჯახს უკანონოდ ეჭირა 51,4 ჰექტარი. ყოველივე აღნიშნული, ცხადია, კომენტარს არ საჭიროებს.

ამავე სასოფლო საბჭოში ფეხქვეშ ითელებოდა საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის კანონი, რითაც ფაქტობრივად იყიდებოდა მიწა. სართიჭალის მახარაძისა და ცხაკაიას ქუჩებზე, რომლებიც მუღანლოს ემიჯნება, მხოლოდ ორიოდე ქართული ოჯახი შემორჩა, დანარჩენებმა თავიანთი კარმიდამო სახლებიანად მუღანლოელებს მიჰყიდეს. მთლიანად გაყიდულია 43 სახლი, — გვითხრა შინაგან საქმეთა ლილოს ქვეგანყოფილების უფროსმა ფრიდონ კეკებაშვილმა, რომელიც პირადად იკვლევდა ამ საკითხს. შამილ წიკლაურის სახლი 45 ათას მანეთად შეიძინა ჯალალ ასლანოვმა, ვარა ქიტაშვილმა ფირდულ გასანოვს „დაუთმო“ თავისი საცხოვრისი. სართიჭალაში გაჩნდა აზერბაიჯანული დასახლება, გაუარესდა უძველესი ქართული სოფლის დემოგრაფია, რაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი და ახლანდელი თავმჯდომარეების და მეურნეობის ყოფილი და ახლანდელი დირექტორების ვ. კეკერაშვილის, ზ. მჭედლიშვილის, ვ. კურტანიძის, ბ. მუხიაშვილის, დ. უჩანეიშვილის სინდისზეა, რომლებიც არათუ ხელს არ უშლიდნენ ამ ანტიეროვნულ პროცესს, არამედ ახალისებდნენ კიდეც.

მიწების დატაცების თვალსაზრისით მაინც ძალზე დაზარალებული აღმოჩნდა გაჩიანის ზონა — ალთაქლიის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე სადაგათ ალიევა). დაუფარავად შეიძლება ითქვას: აქ მეჯიბრება იყო გაჩაღებული, ვინ მეტს და სად დაიტაცებდა. ოფიციალური მონაცემებით, მარტო ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ქ. მამედოვი) დატაცებულია 30-მდე ჰექტარი, ალთაქლიის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ი. ბაირამოვი) — 10 ჰექტარი, გაჩიანის საბჭოთა მეურნეობაშიც (დირექტორი ი. ახმედოვი) არავინ ყოფილა გულხელდაკრეფილი. მიტაცებულ მიწებზე მოქალაქეები მასობრივად აშენებდნენ სახლებს, რომელთა ფართობი ბევრად აღემატება დასაშვებ ნორმებს. მაგალითად, ყარაჯალაში ერთ-ერთი სახლი, რომლის მეპატრონე თითქოს ვერ დაუდგენიათ (?!), 288 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს შეიცავს.

ბოროტად იყენებენ მდგომარეობას და არღვევენ კანონს ქესალოს სასოფლო საბჭოს (აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ალიევი) ტერიტორიაზე განლაგებული რუისბოლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — შ. ლიპარტელიანი, პარტკომის მდივანი — მ. მახმუდოვი), ნაზარლოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის (ყოფილი დირექტორი — ა. მეხრალიევი, პარტკომის მდივანი — ა. ლეზგიევი) მესვეურები. რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობას გამოეყო 6,5 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ფონდი, ფაქტობრივად გაანაწილეს 8,5 ჰექტარზე მეტი, აქედან 2,1 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწის ფონდს გამოსტაცეს. თანაც, აქ ნაკვეთები გამოუყვეს იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც მეურნეობაში არ მუშაობდნენ. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ შერჩევით აზომილი 10 საკარმიდამო ნაკვეთიდან ათივე მფლობელს უკავია ნორმით გათვალისწინებულზე მეტი ფართობი.

ზუსტად ასეთი სცენარით იმოქმედეს ნაზარლოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაშიც.

საზოგადოებრივ მიწებს ისე ანაწილებდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ ჯანდარის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი ფ. ისმაილოვი და პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი ი. შირინოვი: მათთვის ამ საქმეში ხელი რომ არავის შეეშალა, მიწათმომწყობი კომისიაც არ შეუქმნიათ. დ. გასანოვს ზონარგაყრილი წიგნის მიხედვით 0,15 ჰექტარი ერიცხებოდა, ფაქტობრივად 0,43 ჰექტარს ფლობდა, ასეთები სხვებიც არიან. გამოვლენილია ათი ფაქტი, როცა ერთსა და იგივე მოქალაქეს რამდენჯერმე გამოეყო დამატებით მიწის ნაკვეთი. ამით მეურნეობაში სოციალური სამართლიანობაც ირღვეოდა, რადგან ცოტა როდი იყო ისეთი, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებდნენ მიწის გამოყოფას, მაგრამ მათ ანგარიშს არ უწევდნენ. მეურნეობის მესვეურნი სხვა სიყალბესაც არ ერიდებოდნენ. 1986 წლის 22 აგვისტოს მოახდინეს ს. იმამლიევისა და ვ. მუსტაფაევის მიწის ნაკვეთების „ურთიერთშეცვლა“ მაშინ, როცა ს. იმამლიევს მიწის ნაკვეთი საერთოდ არ გააჩნდა და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოეყო, ვითომდა ა. სადიკოვის მიწის ნაკვეთიდან, რომელსაც მიტაცებული ჰქონდა 0,26 ჰექტარი. მეურნეობის დირექტორმა ფაქტობრივად იმამლიევს ნაკვეთი გამოუყო საზოგადოებრივი მიწის ფონდიდან ისე, რომ სადიკოვის მიტაცებულ ნაკვეთს არ შეხებია. აი, კიდევ ერთი ფაქტი იმისა, თუ როგორ მიმართავდნენ აქ თვალისახვევასა და მოტყუებას. მეურნეობის დირექტორმა 1986 წლის 21 დეკემბერს ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები დროებით სარგებლობაში გადასცა შვიდ მოქალაქეს. სასოფლო საბჭოში გადაცემულ ბრძანების ამონაწერში სიტყვა „დროებითი“ არ შეიტანა და ფაქტობრივად მუდმივად მიაკუთვნა. ამასთანავე მათ საზოგადოებრივი მიწის ფონდიდან გამოუყო ნაკვეთები, ჩამორთმეულს კი ხელი არ ახლო. სამწუხაროდ, მეურნეობის თავკაცი თაღლითურ ხერხებს სხვა დროსაც მიმართავდა. მის მაგალითს ბაძავდნენ ხელქვეითნიც. 1988 წლის 14 მარტს მეურნეობის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ფ. ჰუსეინოვმა ყველას დაუკითხავად 20 ოჯახს დაურიგა მიწის ნაკვეთები თითოეულს 0,08 ჰექტარი. ეს თვითნებობა ჰუსეინოვმა იმიტომ ჩაიდინა, რომ რაიონში მიწის მტაცებელთა მიმართ მფარველობისა და მიმტევებლობის ტენდენცია სუფევდა და დამნაშავენი თავს არხეინად გრძნობდნენ. ცხადია, ამღვრეულ წყალში ყველა იჭერდა თევზს.

მიწების დატაცება წლობით გრძელდებოდა ულიანოვკის სასოფლო საბჭოში, როცა მის აღმასკომს სათავეში ვ. ქუჩუკიანი და ბ. კალანდაძე ედგნენ, ხოლო მეურნეობას ლ. მიმინოშვილი, თ. დანელია და მ. ესებუა განაგებდნენ. ვინმე ზ. პაპიკიანს უკანონოდ მისცეს 0,10 ჰექტარი მიწის ფართობი. ამ უკანასკნელმა ააშენა სახლი და ერთ წელიწადში მიწიანად სოლიდურ ფასად მიჰყიდა ა. ისკანდაროვს. მ. მამედოვის არმად ნაშოვნი მიწის ნაკვეთი ქ. ისმაილოვმა შეისყიდა და გვარიანად გაფართოვდა, მერე ვრცელ ეზოში უნებართვოდ დიდი სახლიც წამოჭიმა.

ულიანოვკის სასოფლო საბჭოში უხეშად ირღვეოდა საპასპორტო რეჟიმი, ხელის ერთი მოსმით წერდნენ რესპუბლიკის გარედან ჩამოსულებს. ვ. ისაევმა, მ. აბდულაევმა, შ. ისაევმა, ნ. ნაბიევმა და სხვებმა თან ჩამოიყვანეს მრავალშვილიანი ოჯახები. სოფლისა და მეურნეობის ვაი-ხელმძღვანელები „სიკეთეს“ სახელმწიფოს ხარჯზე არიგებდნენ, პირველ ხანებში ლტოლვილთ 0,10 ჰექტარს ურიგებდნენ, მალე 0,25 ჰექტარამდე უზრდიდნენ. ჩამოსულთა ანგარიშზე სოფელს მოკლე დროში 59 ოჯახი შეემატა, რომლებმაც 15 ჰექტარზე მეტი საზოგადოებრივი მიწა „შთანთქეს“. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნურავინ იფიქრებს, თითქოს ყოველივე ეს უანგაროდ ხდებოდა, ასეთი უკანონო მოქმედებით ქართველებითა და რუსებით დასახლებული სოფელი აზერბაიჯანულ სოფლად გადაიქცა.

მეზობელი რესპუბლიკებიდან ჩამოხვეწილები ჯერ მუშაობას იწყებდნენ, მერე ეწერებოდნენ. ჯანდარის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ჰ. ისმაილოვმა ასე ჩაუწერავად დასვა ტრაქტორზე აზერბაიჯანელი ლტოლვილი ა. მურსალოვი, მერე სათანადო საბუთებიც წარადგინეს რაისაბჭოს აღმასკომში ჩაწერაზე, საიდანაც უარი მიიღო. თუმცა ჯანდარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ფირიევი არ „დაიბნა“, თანამოძმე მაინც ჩაწერა ვინმე სამედოვის სახლში, ხოლო როცა ეს ფაქტი გახმაურდა, თავი „იმართლა“, ტექსტი ქართულად ნაბეჭდი იყო და ვერ გავიგე, მეგონა თანხმობა იყოო. აი ბედის ირონია, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ასე მოხერხებულად იყენებს ქართული ენის უცოდინარობასაც. ჰოდა, რატომღა ისწავლის ქართულს? ამასობაში მურსალოვს ხელფეხი გაეხსნა, ნაკვეთიც მიიტაცა და სახლიც აიშენა.

მუშახელის სიმცირის საბაბით მეზობელი რესპუბლიკებიდან ოჯახების შემოყვანა რაიონში სისტემად იყო ქცეული, ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, კვლავ მივყვეთ ფაქტებს. გარდაბნის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბადირხან ისმაილოვის უხვი წყალობით აზერბაიჯანის სსრ თაუზის რაიონის მკვიდრმა ხ. ჯაფაროვმა მიწის ნაკვეთიც მიიღო და კეთილმოწყობილი ბინაც, მუდმივადაც ჩაწერეს. სომხეთიდან ასევე ხელგაშლილად მიიღეს აქ ა. ისმაილოვის შვიდსულიანი ოჯახი და მასაც დაუშურებლივ მისცეს მიწის ნაკვეთიც, პროექტიც და იშენებს ორსართულიან სახლს. ბადირხან ისმაილოვმა ასეთივე სიკეთე დაუნანებლად უბოძა სხვა თანამოძმეთ, მათ შორის ალმედად ალიევს, მუსა ისმაილოვს და სხვებს. ბ. ისმაილოვის ხელგაშლილობა (ვის ხარჯზე?) იქამდეც კი მივიდა, რომ საკარმიდამო ნაკვეთებს ურიგებდა სეზონურ მუშებსაც. მაგალითად, ამალი მუსტაფაევს ბრძანებით 0,12 ჰექტარი მიწა გამოუყო, ფაქტიურად 0,22 ჰექტარი უზომა.

ახალი სამგორის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიხეილ აფციაურისა და ადგილობრივი მეურნეობის დირექტორის დიმიტრი ლომსაძის დოყლაპიობის შედეგსაც მწარედ იმკიან თანასოფლელები. მათაც ხელი შეუწყვეს მიწების ყიდვა-გაყიდვას, სომხეთიდან ჩამოსული ქურთების ჩაწერა-ჩასახლებას, რომელთა ხუთი ოჯახი 68 სულისაგან შედგება და საშუალოდ 20-მდე ქართულ ოჯახს ჭარბობს. სოფლის აწ უკვე ყოფილი მესვეურები თავს იმართლებენ, ესაოდა, „ზემოდან“ დაგვავალესო. თუ ეს ასე იყო, მათი ვაჟკაცობა ის იქნებოდა, წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტიეროვნულ აქციას.

რაიონში სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოხვეწილთა დამკვიდრებას ხელს რომ არავინ უშლიდა, ეს შემდეგი ფაქტებითაც აიხსნება: ათიოდე წლის წინათ თურქი მანამატ აკიპოვის თერთმეტსულიანი ოჯახი ტაშკენტის ოლქიდან სოფელ ქესალოში გადმოსულა საცხოვრებლად, სადაც ხელგაშლილად მიუღია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ვილაიეთ ალიევს და მილიციის გვერდის ავლით ჩაუწერია საბჭოში. 1984 წელს ქ. გარდაბანში ლენინის ქუჩის № 90 სახლში გადმოეწერა მთელი ოჯახით, რომელიც აკიპოვებმა შეისყიდეს. მილიციაში ამჯერად „გულუბრყვილონი“ აღმოჩნდნენ, არ შეამოწმეს აკიპოვების ჩაწერის კანონიერება. ასე გახდა გადამთიელი ჩვენი მიწა-წყლის პატრონი.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონისადმი უპატივცემლობა ძალიან შორს მიდის, ადამიანები მთლიანად კარგავენ სინდისს, სხვის კუთვნილ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლებსაც კი ითვისებენ. მიმდინარე წლის იანვარში ვაზიანის დასახლებაში გარდაიცვალა ღრმად მოხუცი ზაქარია ავსაჯანიშვილი, რომელიც დისწულმა ვალიკო ფიცხელაურმა დაკრძალა და არ შეატყობინა თბილისში მცხოვრებ ავსაჯანიშვილის შვილებს, ხოლო შემდეგ უპატრონო მიცვალებული დაუდგენელ ადგილას გადაასვენა. გარდაცვლილის კანონიერი სახლი ნაკვეთიანად 10 ათას მანეთად მიჰყიდა წალკელ რუბენ აბრამიანს. ამ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

უკანასკნელ ხანს რაიონში ერთობ გახშირდა საეჭვო განქორწინების რიცხვი, რომლის შედეგად შესაძლებელი ხდება მიწის ნაკვეთების მითვისება. კერძოდ, ასე ჩაიგდეს მიწის ნაკვეთები ხელში ტ. ალექფეროვამ, ნ. ალადაშვილმა, ხ. ეფენდიევამ, და ბევრმა სხვამ. პირდაპირ უნდა ითქვას: რაიონის სახალხო სასამართლო (თავმჯდომარე გივი ხაბაშვილი) ამ ტენდენციას კი არ აღკვეთს, არამედ ხელს უწყობს. ერთი სიტყვით, გარდაბანში მრავალი გზა გამონახეს მიწების ხელში ჩასაგდებად. რაიონის მესვეურები, სამწუხაროდ, ყოველივე ამას თითქოს ვერ ამჩნევენ.

რაიონული ორგანოები დროდადრო ამოწმებდნენ მიწათსარგებლობისა და ბინათმშენებლობის, საპასპორტო რეჟიმის დაცვის კანონიერებას, ავლენდნენ ფაქტებსაც, მაგრამ იგი ხშირად არ იძლეოდა არსებული მდგომარეობის სრულ სურათს, ჩქმალავდნენ დანაშაულს. ზოგჯერ კი შემოწმების მასალებს კარადაში წლობით კეტავდნენ. ჯერ კიდევ 1980 წელს გამოვლინდა მიწების მასობრივი დატაცების ფაქტები, მაგრამ ექვსი წლის მანძილზე აღნიშნული მასალები გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ა. დაშდამიროვის კარადაში იყო ჩაკეტილი. როცა ყოველგვარი ხანდაზმულობის ვადები ამოიწურა, მხოლოდ მაშინ გაეგზავნა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, აქედან პროკურორის მითითებით — კვლავ რაისაბჭოს აღმასკომს დაუბრუნდა, სადაც იგი კვლავ ჩაკეტეს უჯრაში და დამნაშავეთა მიმართ რაიმე პრაქტიკული ზომები არავის მიუღია.

რაოდენ სავალალოა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კი არ აღკვეთდნენ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებს, პირიქით, ხელს უწყობდნენ. ეს სიტყვები პირდაპირ მიესადაგება იმავე ა. დაშდამიროვის მოქმედებას. მისი ხელმოწერით 1986 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში უცნაური შინაარსის მიმართვა გაიგზავნა. მასში აღნიშნული იყო, რომ გაჩიანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყებდნენ მუშაობას (დიახ, დაიწყებდნენ) გამოეყოფოდათ სათანადო მიწის ფართობი დროებით სარგებლობაში. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი თანხმობა, საქსახაგრომრეწვის მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს წინააღმდეგობის მიუხედავად, დაშდამიროვმა კიდეც მიიღო, რომლის საფუძველზე ალთაქლიის, ყარაჯალის, გაჩიანის მცხოვრებლებმა დროებით სარგებლობაში მიიღეს დიდძალი ფართობი. თუმცა სიტყვა „დროებითი“ ბრძანებაში აქაც განგებ არ ჩაიწერა და მოქალაქენი მას მუდმივად დაეუფლნენ. ამ მოუფიქრებელ გადაწყვეტილებას შედეგად ის მოჰყვა, რომ იმ პირთაგან, რომლებიც ამ შეღავათით სარგებლობდნენ, მხოლოდ სამი გახდა მეტალურგი. დანარჩენი ან საერთოდ არ გამოცხადებულა ქარხანაში, ან ორიოდე დღეში მიატოვა იგი, მიწის ნაკვეთები კი დაიტოვეს და ზოგმა სახლებიც წამოჭიმა. ეს შემთხვევა მოხერხებულად გამოიყენა აგრეთვე ჯანდარის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ფ. ისმაილოვმა. მან მეტალურგიულ ქარხანაში მომუშავეთა სიაში ყალბად შეიტანა მექანიზატორები ი. კასუმოვი, ვ. მამედოვი და რ. ფირალიევი და მათაც ნაკვეთები გამოუყო. ერთი სიტყვით, რაიონში ყველა შემთხვევას იყენებდნენ საზოგადოებრივი მიწების დასატაცებლად.

ა. დაშდამიროვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ სხვა რამეშიც იჩინა თავი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილებით ფონიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორია გამოცხადდა 2000 წლამდე პერიოდისათვის ქ. თბილისის განაშენიანების ზონად და აქ აიკრძალა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. ამიერიდან, ცხადია, გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომს არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლება, მაგრამ ამის მიუხედავად, დაშდამიროვმა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ძველის რეკონსტრუქციის უფლება მაინც მისცა მრავალ ოჯახს. როცა რაიონის ხელმძღვანელი ასეთ დანაშაულს სჩადიოდა, რაღა გასაკვირია, რომ ფონიჭალელებიც თავს არხეინად გრძნობდნენ და რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ. ბევრმა მათგანმა პროექტის უხეში დარღვევით გაუკეთა რეკონსტრუქცია საკუთარ სახლებს, ხოლო ერთმა ნაწილმა სახლის აშენების შემდეგაც არ დაანგრია ძველი სახლები, 14-მა ოჯახმა უნებართვოდ აიშენა საცხოვრებელი სახლი და ა. შ.

თავისი წინამორბედის ტრადიციებს ამ საქმეში არც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტელმან ველიევი არღვევდა (იგი ამჟამად გათავისუფლებულია თანამდებობიდან). იგი რამდენჯერმე იყო გაჩიანის ზონაში, რათა გაერკვია მიწათსარგებლობაში შექმნილი მდგომარეობა. თუ რა შედეგი მოჰყვა რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ადგილზე მისვლას, ამაში ადვილად დარწმუნდება მკითხველი, როცა ერთ მეტად სავალალო ფაქტს გაეცნობა. ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა კასუმ მამედოვმა 48 ოჯახს იჯარით „მიამაგრა“ ის 8,35 ჰექტარი ფართობი, რომელიც მათ ადრე მიიტაცეს, ჩამოერთვათ და ჩაირიცხა საზოგადოებრივი მიწის ფონდში. ამჯერად აშკარა უკანონობა ოფიციალურად დაკანონდა. დირექტორმა კი ცნობა აფრინა რაისაბჭოს აღმასკომში, ღონისძიება გატარებულია და ყველაფერი რიგზეაო. ეს რომ თვალისახვევა და სიყალბეა, იმითაც დასტურდება, რომ ამ ნაკვეთებზე მიმტაცებლებმა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გააჩაღეს. უკვე აშენებულია 56 სახლი, ხოლო ორი მშენებლობის პროცესშია.

გარდაბნის რაიონში მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევების საკითხი შეისწავლა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტმა და მასალები განიხილა კომისიის სხდომაზე. რაიონის საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეთითათ მიეღოთ ზომები მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად და მშენებლობებისაგან ნაკვეთების გასათავისუფლებლად, მაგრამ პრაქტიკულად მათ თითქმის არაფერი იღონეს. ამგვარი მოქმედება მადას უხსნის დამნაშავეებს ახალი დარღვევების ჩასადენად.

პარტიის გარდაბნის რაიკომმა, მართალია, ბოლო დროს მუშაობა ამ მხრივ თითქოს გააუმჯობესა, მაგრამ იგი მოჩვენებით ხასიათს ატარებს, არ არის ყოვლისმომცველი, შემტევი, უკომპრომისო, ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, აქ მკაცრად არ სთხოვენ პასუხს კონკრეტულ დამნაშავე პირებს. უფრო მეტიც: თავზე ხელს უსვამენ მათ.

ჩვენს ხელთ არის რაიკომის ბიუროს დადგენილებები, რომლებიც შუქს ფენენ ნათქვამს. ფონიჭალისა და ჯანდარის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად არა იღონეს რა მიწათსარგებლობასა და ბინათმშენებლობაში წესრიგის დასამყარებლად და დარღვევების მეთვალყურის როლში გამოდიოდნენ, მაგრამ რაიკომის ბიურომ, არც მეტი, არც ნაკლები, მათი მუშაობა „არასაკმარისად ჩათვალა“, ფონიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ლ. დაუშვილს სასტიკი საყვედური აკმარეს სააღრიცხვო ბარათში შეუტანლად, ხოლო ჯანდარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ე. ფირიევს კი ამდენიც არ აკადრეს.

რაიკომი ასევე ლიბერალურად მიუდგა სართიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობის განხილვას. სართიჭალის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილ დირექტორს ბ. მუხიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ბევრი ცოდვა აწევს კისერზე. ბიუროს მიერ „ცნობად“ იქნა მიღებული, რომ იგი ამ და სხვა დარღვევების გამო გათავისუფლებულია თანამდებობიდან და გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ მიიღეს ცნობად ყოველივე ეს, როცა იგი შემდგომში ჯერ მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მთავარ ინჟინრად გაამწესეს, მალე კი ამ საწარმოს დირექტორად დააწინაურეს.

რაიკომის ბიურომ აღიარა სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ვ. კეკერაშვილის მიერ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის შესუსტება, „რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის მიერ სახლების უკანონო ყიდვა-გაყიდვის ფაქტები“, მაგრამ მასაც სასტიკი საყვედური აკმარეს სააღრიცხვო ბარათში შეუტანლად. კეკერაშვილს ადრეც მფარველობდნენ, თორემ არაფრით არ იყო გამართლებული მისი სართიჭალიდან ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ გადაყვანა, და იქაც ვერ გაამართლა ნდობა. ამიტომ ახლახან ამომრჩევლებმა ყორანივით გააშავეს, თუმცა „კეთილი ძიების“ წყალობით სართიჭალის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ მოკალათდა, იმ სოფელს დაუბრუნდა, სადაც მისი „საქმენი საგმირონი“ კარგადაა ცნობილი.

პარტიის გარდაბნის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევებს, რომ სათანადო შეფასებას ვერ აძლევდნენ, ეს სხვა ფაქტებითაც დასტურდება. ამ დანაშაულისათვის თანამდებობიდან გათავისუფლებული ულიანოვკის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი თ. დანელია თბილისის სანერგე მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. მკაცრ სასჯელს გადაარჩინეს ულიანოვკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ბ. კალანდაძე, რომელიც არც მიწათსარგებლობის კანონის მოთხოვნებს დაგიდევდა და, როგორც რაიკომის ბიუროს დადგენილებაშია აღნიშნული, ჭარბი მუშახელის ზონაში, რაისაბჭოს აღმასკომის ჩაწერის კომისიის გვერდის ავლით, რესპუბლიკის გარედან ჩამოსულ მოქალაქეთა ჩაწერაშიც არ იხევდა უკან. და განა მარტო სასჯელს გადარჩა? იგი ამჟამად პარტიის გარდაბნის რაიკომის ინსტრუქტორია. ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს. „გულთბილად“ მოეპყრნენ ახალი სამგორისა და გამარჯვების სასოფლო საბჭოების ყოფილ თავმჯდომარეებს მ. ფიცხელაურსა და გ. შენგელიძესაც, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა იმედები და დატოვეს პოსტები. მაგრამ სულ რამდენიმე დღეში რაისაბჭოს აღმასკომში მოკალათდნენ, აქამდე თუ სასოფლო საბჭოების მასშტაბით „ამყარებდნენ“ წესრიგს, ახლა, ალბათ, რაიონულ პრობლემებს „წყვეტენ“.

რაიკომის ბიურო შედარებით პრინციპულად მოეკიდა გაჩიანისა და ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორების ტ. ახმედოვისა და ქ. მამედოვის საკითხის განხილვას, რომელთა მოთმენა დაკავებულ თანამდებობებზე შეუძლებელი იყო, მკაცრ სასჯელს იმსახურებდა ალთაქლიის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ბაირამოვი, რომელსაც გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ალთაქლიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. ალიევას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ რჩევა მიეცა აღნიშნული სასოფლო საბჭოს სესიას, მაგრამ ეს პროცესი ჯერაც არ განხორციელებულა. საინტერესოა, როდემდე უნდა იყოს ქესალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ვ. ალიევი. გარდა იმისა, რომ კისერზე მძიმე დანაშაულობები აწევს, იგი დიდი ხანია ავადმყოფობს და საბჭოს სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს.

ფორმალიზმი, დამნაშავეობისადმი მიმტევებლობა, რასაც პარტიის გარდაბნის რაიკომის მუშაობაში აქვს ადგილი, განსაკუთრებით მკვეთრად გამოიკვეთა ახლახან ჩატარებულ ბიუროს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს საკითხი ქ. გარდაბნის ტერიტორიაზე კიროვის სახელობის და კაპანახჩის საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა აღმაშფოთებელი ფაქტი: ქ. გარდაბანში მოქალაქეები ნორმის ზევით ფლობენ 60 ჰექტარამდე მიწას. სხვა რომ არაფერი მარტო მიწაზე გადასახადების სახით სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავს 10 ათასამდე მანეთს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს. ამ უმსგავსოების „შემოქმედნი“ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ისმაილოვი და კაპანახჩის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. გამბაროვი არიან. კონკრეტული დანაშაული ეკისრებათ აგრეთვე გარდაბნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეებს ისაკ ნოვრუზოვს, რომელსაც ამჟამად პარტიის რაიკომის პარტიული კომისიის თავმჯდომარის მაღალი პოსტი უკავია და ალმას სადიკოვს (იგი ნაზარლოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია). ბ. ისმაილოვს, გ. გამბაროვს, ა. სადიკოვს რაიკომის ბიურომ სასტიკი საყვედური (სააღრიცხვო ბარათში შეუტანლად) აკმარა, ხოლო ი. ნოვრუზოვის შესახებ სიტყვა არავის უთქვამს.

ერთ დროს პარტიის რაიკომის ბიურომ დაადგინა, რომ რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ა. დაშდამიროვის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავდნენ რაიონში მიწისა და საბინაო კანონმდებლობათა დაცვის მდგომარეობის შედეგების მთლიანად განხილვის შემდეგ. როდის იქნება ეს, კაცმა არ იცის. დაშდამიროვი კი, რომლის დროსაც დარღვევები განუკითხაობამდე მივიდა, არხეინად ზის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის სავარძელში.

რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი თავად არის ჩათრეული მიწისა და ბინის მოხვეჭის საძრახის საქმეში. პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ზიატხან მამედოვს აქვს კომფორტული ბინა კომუნალურ სახლში, ძმა კი მამისეულ ჩინებულ სახლში ცხოვრობს დედასთან ერთად. მოხუცი დედა ამოწერეს ბინიდან, ცალკე კომლად გააფორმეს და კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ისმაილოვმა მიწის ნაკვეთიც გამოუყო მეშვიდე არხზე. იციან თუ არა ეს რაიკომში? თუ არ იციან, მით უარესი. ვინ დაიჯერებს დედაბერმა ცალკე ცხოვრება ისურვა და ორსართულიან სახლს იშენებსო, სად შესწევს ამის უნარი მას. სამწუხაროდ, რაიონში გამონაკლისი როდია შემთხვევები, როცა მოქალაქეებს კომფორტული კომუნალური ბინები აქვთ, მაგრამ მაინც „დამატებით“ ინდივიდუალური სახლები აიშენეს ან აშენებენ. არც ის არის იშვიათი, როცა ერთსადაიგივე პიროვნებას ორი ან მეტი სახლი ან ბინა აქვს.

პარტიის გარდაბნის რაიკომში (პირველი მდივანი ოთარ ბოკერია) ხშირად გაიგონებთ, რომ აქ რამდენიმე საყურადღებო თაოსნობას მიეცა სათავე. დაინერგა, მაგალითად, „ერთი დღე პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში“. რაიკომის ბიუროს წევრები, რაიონული რგოლის სხვა მუშაკები თვეში ერთ დღეს მთლიანად პირველადს პარტორგანიზაციაში ატარებენ, მაგრამ რა ფასი აქვს ყოველივე ამას, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი რჩებათ თვალთახედვის მიღმა, ვერ ამჩნევენ მიწათსარგებლობის კანონიერების მასობრივ უხეშ დარღვევებს, უკანონო მშენებლობებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

რამდენიმე წლის წინათ გარდაბნის რაიონი დიდი ზარ-ზეიმით და ხმაურით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის პოლიგონად გამოცხადდა. ამრიგად, რაიონი უკრიტიკო ზონა გახდა, მაგრამ ამ მხრივ ვერ გაამართლა იმედები. საკმაოდ არიან ეკონომიკურად სუსტი, ჩამორჩენილი, დაბალრენტაბელური საწარმოები, რომლებიც ვალებით და ფასდანამატით ღაფავენ სულს. ხუმრობით ამბობენ: სამაგიეროდ რაიონი მიწების დატაცებისა და უკანონო მშენებლობის პოლიგონად გადაიქცაო. შეიძლება ეს ვინმეს მკაცრად მოეჩვენოს, მაგრამ ნათქვამის სისწორეში მოყვანილი მაგალითებით დარწმუნდებით. და თუ კიდევ ინებებთ და განსაკუთრებით აზერბაიჯანული ეროვნებით დასახლებულ სოფლებში გაივლით, თქვენთვის ყველაფერი უფრო ნათელი გახდება. უკანონო მშენებლობის ბუმი კვლავაც არ ცხრება, მიწის საუკეთესო ნაწილს კვლავაც ძველებურად ეპატრონება მოძალადე. მართალია, ამ დღეებში 35 ჰექტარი მიწა ჩამოართვეს კრწანისელ მოძალადეებს და გადახნეს, მაგრამ ეს საკმარისი როდია.

თანამედროვე ეტაპზე წარსულის შეცდომების მოთმენა შეუძლებელია. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საბოლოოდ უნდა გარდაქმნან მუშაობა, გააძლიერონ ბრძოლა დანაშაულობათა და ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, მიწის მიმტაცებლის, გამყიდველისა და გამნიავებლის, უკანონო მშენებლის ფეხქვეშ სწორედ მიწა უნდა იწვოდეს. ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესები.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.
გარდაბნის რაიონი.

ფერდინანდ თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებამ დიდი და მძიმე დანაკლისი განიცადეს — მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული მეტალურგიული მეცნიერების ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფერდინანდ ნესტორის ძე თავაძე.

ფერდინანდ თავაძე დაიბადა 1912 წელს ქალაქ გორში. 1936 წელს დაამთავრა ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო სტუდენტობის პერიოდში. მუშაობდა ჯერ ამ ინსტიტუტის სამსხმელო ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ ლითონების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში. 1937 წელს ფ. თავაძე მუშაობას იწყებს პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის მეტალურგიულ ლაბორატორიაში. 1939 წლიდან ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო 1947 წლიდან — დოქტორი, პროფესორი. 1951 წლიდან ფ. თავაძე აირჩიეს ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის (შემდგომში მეტალურგიის ინსტიტუტის) დირექტორად, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა გარდაცვალების დღემდე. 1955 წელს ფ. თავაძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს — ნამდვილ წევრად.

ფართო და მრავალმხრივია ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო კვლევის დიაპაზონი. გამოკვლევებმა ლითონური სისტემების მდგომარეობის დიაგრამების შესწავლის, უჟანგავი ფოლადების და მხურვალმედეგი შენადნობების ახალი კომპოზიციების შექმნის, ფოლადებსა და შენადნობებში ფაზური გარდაქმნების თერმოდინამიკისა და კინეტიკის შესწავლის, ლითონური ნალღობების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევის, ლითონების კოროზიის შესწავლის, ბორის მიღებისა და შესწავლის მიმართულებებით ამ გამოკვლევებმა დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს მას ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ფასდაუდებელია ფ. თავაძის მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც ქართული არქეოლოგიური ლითონური ნივთების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დადგენას ეძღვნება.

ფერდინანდ თავაძე ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს, 100-ზე მეტი გამოგონების ავტორი და თანაავტორია.

ფერდინანდ თავაძე, შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი, 1948-1988 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლოგიის კათედრას. ქართული ტექნიკური ინტელიგენციის, განსაკუთრებით ქართველ მეტალურგთა კვალიფიციური კადრების უმრავლესობა მისი მოწაფეა. ახალგაზრდების პოტენციურ შესაძლებლობათა გამოცნობის უტყუარმა ალღომ და ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებისადმი მზრუნველმა და ამავე დროს მომთხოვნმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ მისი ხელმძღვანელობით 180-ზე მეტმა სპეციალისტმა მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

დიდია ფერდინანდ თავაძის, როგორც ქართული მეცნიერების ორგანიზატორის დამსახურება. მისი ხელმძღვანელობით მეტალურგიის ინსტიტუტი გადაიქცა მოწინავე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად. ფ. თავაძის თავდადებული მუშაობის შედეგია, რომ ეს სამეცნიერო კერა ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში.

ფერდინანდ თავაძე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე იგი იყო საქართველოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის პირველი და უცვლელი თავმჯდომარე. ფ. თავაძე იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი. იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რიგი საპრობლემო საბჭოების, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო და ტექნიკური ჟურნალების რედკოლეგიების, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მეცნიერებათა აკადემიის გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიები.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს ფ. ნ. თავაძის დამსახურება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან ხალასი ნიჭის, ფართო მეცნიერული ერუდიციის, შესანიშნავი ადამიანური ღირსებების მქონე აღიარებული მეცნიერი და მოღვაწე. ფ. თავაძის ნათელი სახე, მისი შესაშური ოპტიმიზმი, უაღრესი პასუხისმგებლობა, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ტაქტი და კაცთმოყვარეობა, საქმენი და ნამოღვაწარი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღმზრდელების ხსოვნაში.

გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჩითანავა, ა. ი. პავშენცევი, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მახარაშვილი, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ა. ნ. თავხელიძე, ა. მ. აფაქიძე, გ. ა. ხანაძე, ი. ვ. ფრანგიშვილი, ლ. კ. გაბუნია, რ. შ. ადამია, თ. გ. ანდრონიკაშვილი, გ. გ. გველესიანი, ჯ. გ. ლომინაძე, ლ. დ. მელიქაძე, ე. ა. სეხნიაშვილი, გ. ვ. ციციშვილი, ა. ა. ძიძიგური, შ. ვ. ძიძიგური, მ. ვ. ხვინგია, ლ. ნ. ოკლეი, ი. ს. ჟორდანია, ე. პ. ქემერტელიძე, გ. გ. ჩოგოვაძე, გ. გ. ცაგარეიშვილი, გ. ვ. ცინცაძე, მ. მ. ხანანაშვილი, ლ. ნ. ჯაფარიძე, გ. ვ. ბერიძე, ჯ. ს. ზამბახიძე, თ. ი. სიგუა, ს. ი. ყურაშვილი, ზ. ვ. უკლება, ზ. ი. კერვალიშვილი, ი. მ. ქართველიშვილი, გ. გ. ქაშაკაშვილი, პ. შ. ცინაძე.

საჭიროა კოორდინირებული მოქმედება

რესპუბლიკის ენერგეტიკულ მეურნეობაში შექმნილი ძნელი სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა ავდარმა. დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“, რომელიც ზესტაფონის რაიონს აერთიანებდა ენგურთან. არის სხვა დაზიანებებიც. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რიტმულ, შეუფერხებელ მუშაობას. მაგრამ დღეისათვის აშკარაა ის ხარვეზები, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა დარგის ქვედანაყოფების კოორდინირებული მოქმედების პირობებში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხთა შტაბის სხდომაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, განიხილეს მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო გადაუდებელი ღონისძიებანი. ამჟამად რესპუბლიკაში შეიქმნა მაზუთის სოლიდური მარაგი, რომელიც მოცულობით აღემატება შარშანდელს. მაზუთს კვლავ ვიღებთ, და სხვა სათბობის დეფიციტის პირობებში მასზე უარის თქმა არ შეიძლება. მაგრამ ყველგან როდი აღმოჩნდნენ მომზადებულნი მის მისაღებად, რის შედეგადაც ცდება დაუცლელი რკინიგზის ცისტერნები. არის შემთხვევები, როცა მაზუთს უგზავნიან ისეთ საწარმოებს, რომლებსაც სავსე აქვთ რეზერვუარები, ისეთ დიდ სამრეწველო ობიექტებს კი როგორიც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და თბილისის საწარმოო გაერთიანება „ავიამშენებელია“, სანახევროდ ცარიელი აქვთ რეზერვუარები. ასეთი ფაქტები მოწმობს, რომ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები უყაირათოდ, გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ძნელი არ იყო გაგვეთვალისწინებინა და დროულად გამოგვესწორებინა შექმნილი სიტუაცია. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ მოქმედების კოორდინაცია, დაინტერესება პრობლემათა რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრით.

შტაბის სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო ელექტროენერგიის დაზოგვის საკითხებს. ამჟამად შექმნილ სიტუაციაში მისი ყაირათიანად ხარჯვა ზამთრის თვეებში საჭირო ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნების პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაა. მაგრამ, სინამდვილეში, მომჭირნეობის ნორმებს არ იცავენ. მოიყვანეს თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების ქუჩების ზედმეტად განათების ფაქტები. ამავე დროს, სხდომაზე აღინიშნა, რომ არ შეიძლება ჩავაბნელოთ მთელი საცხოვრებელი უბნები, რაც ხშირად ხდება ხოლმე. ადგილობრივმა საბჭოებმა საქენერგოს სპეციალისტებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაონ შეზღუდველ გამორთვათა ზუსტი გრაფიკი, რათა არ შეილახოს რესპუბლიკის მცხოვრებთა ინტერესები.

განიხილეს თბილისის ქარხნებში „მიკროძრავაში“, „ელექტროიზოლიტში“, გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატში“ ენერგეტიკული მოწყობილობის ექსპლოატაციისა და ელექტროენერგიის ხარჯვის წესების დარღვევების საკითხი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საქინფორმი).

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ქმედითობა:

რატომ ჭიანურდება სამუშაოები?

„კომუნისტი“, 1989 წლის 28 ნოემბერი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ:

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ქუთათელაძე:

გაზეთის კრიტიკულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის შედეგად წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შექმნილია საექსპერტო კომისია. მასში თანამშრომლობისათვის მოწვეულნი არიან ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერები და მაღალკვალიფიციური ექსპერტ-სპეციალისტები, რომლებიც ეკოლოგიური ფაქტორების ხასიათის მიხედვით ექვს ჯგუფში გაერთიანდნენ. ესენია: პროექტით გათვალისწინებული ბუნების დაცვითი ღონისძიებების ექსპერტიზისა და ეკოლოგიური ფაქტორების; ეკონომიკურ-ეკოლოგიური ანალიზის; გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური პროცესების; რეგიონის დაგეგმარებით სტრუქტურაზე გაზსადენის ზემოქმედების; გაზსადენის მშენებლობის ხარისხის და მოსახლეობის უსაფრთხოების; სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების ანალიზის და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ჯგუფები.

ბოლო ჯგუფში სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და დემოგრაფების გარდა მოწვეულნი არიან სახალხო ფრონტისა და საზოგადოებრივ ფორმირებათა წარმომადგენლები, რომლებიც სრულუფლებიან მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტიზის მსვლელობაში.

საექსპერტო კომისიის საბოლოო დასკვნას საზოგადოება გაეცნობა პრესისა და ტელე-რადიო გადაცემების მეშვეობით.

აქვე გვინდა შევთავაზოთ ყველას, ვისაც ამ საშურ საქმეში ჩვენთან თანამშრომლობა სურს, მოგვმართოს მისამართით: 380086 ქ. თბილისი, მინდელის ქ. № 9. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი. ტელ. 38-51-54.

„საქგეოლოგიის“ გენერალური დირექტორი ი. ბობიტიძე:

თქვენი პუბლიკაციის პასუხად გაცნობებთ, რომ „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის შეჩერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 სექტემბრის დადგენილების თანახმად „საქგეოლოგიას“ დაევალა ერთი თვის ვადაში შეედგინა რეკომენდაცია-დასკვნები მეწყერსაშიში და სხვა გეოლოგიური პროცესების მოსალოდნელი ადგილების, აგრეთვე ავარიული უბნების შესახებ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის ფარგლებში.

„საქგეოლოგიის“ საწარმოო გაერთიანებამ 29 სექტემბრისათვის აღნიშნული დასკვნა-რეკომენდაცია წარუდგინა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, „საქტრანსგაზის“ გაერთიანებასა და სატყეო მეურნეობის საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალს.

„საქტრანსგაზმა“, თავის მხრივ, ეს დასკვნა სახელმძღვანელოდ გადასცა კიევის საპროექტო ინსტიტუტს „ტრანსგაზს“.

აღნიშნული დასკვნა-რეკომენდაცია შედგენილია სოფლების ზემო ლარსისა და საგურამოს შორის მაგისტრალური გაზსადენის ტრასის გასწვრივ „საქგეოლოგიის“ სპეციალისტების მიერ ჩატარებული დეტალური გამოკვლევების საფუძველზე.

მასში მოცემულია ამ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. ამასთანავე შეფასებულია გეოეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილებები, დეტალურად არის აღწერილი ტრასის მდგომარეობა პიკეტების მიხედვით, შემოთავაზებულია აქტივიზებული საშიში გეოლოგიური პროცესებისაგან ტერიტორიების დაცვის, აგრეთვე ბუნებადამცავი ღონისძიებების განხორციელების რეკომენდაციები.

დასკვნებს დართული აქვს 1:25000 მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების რუკა, რომელზეც აღნიშნულია ყველა ფიქსირებული საშიში გეოლოგიური პროცესის გამოვლინების შემთხვევები ცალკეული პიკეტების ფარგლებში. ეს მასალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც დარღვეული გეოეკოლოგიის აღდგენისა და დაცვის პროექტის დამუშავების საფუძველი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დასკვნა სხვადასხვა ორგანიზაციას ჩაბარდა ფაქტობრივად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების გამოსვლისთანავე.

ცხადია, ასეთი საფუძვლიანი დოკუმენტის შედგენას დიდი დრო სჭირდებოდა და იგი დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაშიც ვერ დამუშავდებოდა სრულყოფილი სახით, „საქგეოლოგიას“ ამ მიმართულებით სამუშაოები დიდი ხნით ადრე რომ არ ჰქონოდა დაწყებული.

ჯერ კიდევ 1988 წლის 22 თებერვალს „საქგეოლოგიამ“ წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზსადენის მშენებლობის ზონაში ბუნებრივი გარემო პირობების დარღვევის თაობაზე. აღვნიშნავდით, რომ გაზსადენის მშენებლობის პროექტი არ შეიცავს სრულ ინფორმაციას მშენებლობის რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ და მასში გათვალისწინებული არ არის დამცავი ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით „საქგეოლოგიის“ მიერ შეთავაზებული იყო სათანადო სამუშაოების ჩატარება: გაზსადენის მშენებლობის გავლენის ზონის გეოდინამიკური მდგომარეობის რუკის შედგენა, მუდმივი დაკვირვების განხორციელება და დამცავი ღონისძიებების ჩატარებისა და ზოგიერთ უბანზე გაზსადენის ტრასის გადაადგილების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება. წერილში მითითებულია, რომ „საქგეოლოგიამ“ 1987 წელს უკვე ჩაატარა გარკვეული მოცულობის სამუშაოები ამ მიმართულებით.

ამრიგად, დადგენილებით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად საჭირო სამუშაოებს „საქგეოლოგია“ 1987-1988-89 წლებში აწარმოებდა, რამაც შესაძლებელი გახადა საფუძვლიანად დამუშავებული მასალების წარმოდგენა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქგეოლოგია“ კვლავაც განაგრძობს დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევებს ტრასაზე, რაც „საქტრანსგაზთან“ ხელშეკრულებით ხორციელდება.

ამ მუშაობის შედეგად, რომელიც 1990 წელს დამთავრდება, შედგენილი იქნება ტრასის ტერიტორიის 1:10000 მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა.

გარდა აღნიშნულისა, „საქგეოლოგია“ 1989 წლიდან ახორციელებს მუდმივ დაკვირვებებს გეოეკოლოგიური სიტუაციის ცვლილებებზე გაზსადენის ტრასის გასწვრივ, ბუნებადაცვითი და აღდგენითი ღონისძიებების გატარების თაობაზე რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

გიწვევთ ბაზრობა

თბილისში გახსნილი სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ვაჭრობის რეგიონული ბაზრობა მომსვლელებს სთავაზობს საქონელს — კოსმეტიკით დაწყებული და ელექტროშესადუღებელი მოწყობილობით დამთავრებული. იგი განლაგდა რესპუბლიკის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კომერციული ცენტრის მუდმივმოქმედი გამოფენა-ბაზრობის პავილიონში.

გამოფენაზე წარმოდგენილია ზენორმატიული, გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე წარმოების ნარჩენები ნიმუშებისა და კატალოგების სახით. თავიანთ პროდუქციას დაინტერესებულ საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დასაქმებულ პირებს სთავაზობენ რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებანი და კოოპერატივები, რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ესტონეთის, სხვა რესპუბლიკების სახმომარაგებათა კომერციული ცენტრები. მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ნიმუშები გამოიტანა აგრეთვე სსრ კავშირის საგარეოეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს საკავშირო საგარეოსავაჭრო გაერთიანების მოწვევით აქ ჩამოსულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქების ხუთმა სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო კომპანიამ.

— ეს არის მესამე საბითუმო ბაზრობა, რომელიც რესპუბლიკის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კომერციულმა ცენტრმა მოაწყო „საქხაირბითუმვაჭრობის“ გაერთიანებასთან ერთად, — ამბობს მისი დირექტორი ნუგზარ კალანდაძე. — უცხოეთის ფირმები კი მასში პირველად მონაწილეობენ. აქ საწარმოებსა და საწარმოო გაერთიანებებს შეუძლიათ პირდაპირი კონტაქტები დაამყარონ მომხმარებლებთან, ულიმიტებოდ და უგანწესებოდ გაყიდონ თავისუფალი რესურსები, სიმძლავრეები, ნედლეული, მოწყობილობა, თავიდან მოიშორონ არსებული ზენორმატიული ნარჩენები.

ბაზრობის სტუმრები ჯერჯერობით აკვირდებიან საქონელს, ინტერესდებიან მისი ფასით. ამ დღეებში დაიდო გარიგებანიც, დაიდება ორმხრივ სასარგებლო ხელშეკრულებანი.

(საქინფორმი).

დრო და ხელოვანი

მსახიობის ოცდამეთხუთმეტე სეზონი...

ზურაბ კახიანი მსახიობი რომ გახდებოდა, ეჭვს არ იწვევდა. მოულოდნელი იყო მხოლოდ ის, რომ მან ოპერეტის თეატრის აქტიორობა აირჩია, მაშინ, როცა დრამის მსახიობის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა.

ზურაბ კახიანმა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დრამის ფაკულტეტი დაამთავრა (დ. ალექსიძის კლასი), მისი პედაგოგები იყვნენ: მიხეილ თუმანიშვილი, სერგო ზაქარიაძე, აკაკი ხორავა, სანდრო ინაშვილი. არაერთხელ უსახელებია თავი მათ მიერ დადგმულ საკურსო, თუ სადიპლომო სპექტაკლებში.

ზურაბ კახიანის დებიუტი 1956 წლის 26 იანვარს შედგა ვასო აბაშიძის სახელობის თეატრის სცენაზე (აქვე დავსძენ, რომ ზურაბ კახიანი თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან პირველია, ვინც ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში მოვიდა). პირველი როლი, მან ამ სცენაზე რომ განასახიერა, იყო ზაური შოთა მილორავას ოპერეტაში „საყვარელი დისშვილი“.

სპექტაკლს ესწრებოდა სერგო ზაქარიაძე, რომელიც წარმოდგენის დამთავრებისთანავე ავიდა სცენაზე, წარმატება მიულოცა თავის მოწაფეს და აჩუქა წიგნი „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. მსახიობი კმაყოფილებით იგონებს თავის პირველ როლს და დასძენს: „მაშინ მე მხოლოდ ზაქარიაძისათვის ვთამაშობდი და ჩემი გამარჯვებაც მისი დიდი სიკეთისა და ზრუნვის წყალობა იყო“.

ასე დაიწყო ზურაბ კახიანის ცხოვრებაში ახალი ჟანრის დაუფლებისათვის ბრძოლის დღეები. ამ ბრძოლაში მას ეხმარებოდა მახვილგონიერება, ცოცხალი სიტყვა, იუმორის, რიტმისა და მუსიკის გრძნობა. პირველ როლს მოჰყვა მეორე საინტერესო სახე შ. მილორავას ოპერეტაში „სიმღერა თბილისზე“, რომელშიც იგი გიას როლს ასრულებდა.

კლასიკური ოპერეტებიდან განსაკუთრებული წარმატება მსახიობს ორმა სახემ მოუტანა — ზუპანი და ბონი (ი. კალმანის „მარიცა“ და „სილვა“), მსახიობის წარმატება ამ როლებში არა მარტო სცენურმა მომხიბვლელობამ, პლასტიკურობამ და ტემპერამენტმა განსაზღვრა, არამედ ამ ხასიათების ზუსტმა შეცნობამ. ამ სახეთა წარმოჩენისას გამოჩნდა მისი თავისთავადობა, ვოკალური მონაცემები, გამოიკვეთა მისი ინდივიდუალობა და მდიდარი აქტიორული შესაძლებლობანი, რაც მთავარია, კომედიის ჟანრისათვის აუცილებელი სილაღე და სიმსუბუქე.

ოპერეტის სცენაზე მსახიობმა შეძლო საკუთარი გზის მოძებნა. იგი ღრმად ჩასწვდა საოპერეტო სცენის საიდუმლოებას და სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრა „ოსტატის“ სახელი და მაყურებლის დიდი სიყვარული.

1957 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა საზოგადოებამ თეატრთან ერთად მოაწყო ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი დათვალიერება. ზურაბ კახიანმა გაიმარჯვა დათვალიერებაში, რისთვისაც მას მოუწყვეს შემოქმედებითი საღამო.

ზურაბ კახიანი დამკვიდრდა თეატრში. მის მიერ შესრულებული 150-მდე როლი მოღვაწეობის ინტენსიობასა და მრავალმხრივობაზე მეტყველებს. მათ შორის ბევრია კარგად ნათამაშები და სრულყოფილი როლებიც. ესენია: ივანიკა (ვ. კურტიდის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ერვე (ი. კალმანის „მონმარტრის ია“), რამონი (ი. მილიუტინის „ჩანიტას კოცნა“), ბახუტა (შ. მილორავას „პაემანი ცაში“), დულიტლი (ფ. ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი“), ბაპსი („ჩარლის დეიდა“), კარაპეტ დაბაღოვი (შ. მილორავას „ძუნწი“), დრაკონი (ე. ადლერის „დრაკონი“) და სხვა. მსახიობი ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეებს, ყველა სახეს თავისებურად აანალიზებს, მაგრამ მათ ერთი რამ ანათესავებთ, — ეს არის მსახიობისათვის დამახასიათებელი მოქალაქეობრიობა. მისი მსახიობური ნიჭის განუყრელი და უძვირფასესი თვისებაა სცენური გარდასახვის უნარი. ყოველი ახალი როლისათვის იგი ეძიებს ფერებს, როგორც მუსიკაში, ასევე სცენური სახის გადაწყვეტაში. სწორედ მსახიობის მიერ შექმნილი ბაპსი, ჩარლის დეიდას სახე ამ ნიშნით ხასიათდება.

მხატვრული სახის მუსიკალურ-სცენური ხორცშესხმისას ზ. კახიანი ცდილობს წინ წამოსწიოს მთავარი სახის განმსაზღვრელი ნიშნები და როლის შესაბამისი მომენტები, სადაც ეს ხასიათის შემქმნელი ნიშანთვისებანი განსაკუთრებული ძალით ვლინდება. ამიტომაც არის მის მიერ შექმნილი კარაპეტ დაბაღოვის („ძუნწი“) სახე განზოგადებული და მასშტაბური.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზურაბ კახიანის მიერ წარმოჩენილი დრაკონის (ე. ადლერის „დრაკონი“) სახე. როცა მან ამ სცენური სახის შექმნას მოჰკიდა ხელი, კარგად გრძნობდა მის წინაშე მდგარი ამოცანის სირთულეს. მსახიობმა შეძლო გამოენახა საკუთარი და საინტერესო დრაკონის ინტონაცია.

მსახიობი სისტემატურად მუშაობდა ამ როლის დახვეწაზე და საერთოდ, ვერ დავასახელებთ ვერც ერთ როლს, რომელიც ზურაბ კახიანმა შემოქმედებითი გზის რომელიმე ეტაპზე უკვე დასრულებულად და სრულყოფილად მიიჩნია, — ასე ავსებდა და ამდიდრებდა ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით კარაპეტას, ბახუტას, ერვეს, ხუტას, ზუპანსა და დრაკონის სახეებს.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ კახიანი ფართო დიაპაზონის შემოქმედია. მისი შემოქმედებითი ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ მსახიობის პრაქტიკით. იგი ნაყოფიერ [illegible] რეჟისორულ მოღვაწეობასაც ეწევა. მან ოსტატურად დადგა გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, ნ. არეშიძის „მეცოლი და სიდედრი“, ლ. ჭუბაბრიას „სიმღერა მაინც დამიტოვეთ“, სპექტაკლ-კონცერტი — „მხიარული მელოდიები“ და „მოვედით და მოვიმღერით“, ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელი წინდა“ და საკუთარი პიესის მიხედვით „მეცამეტე შეხვედრა“.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. კახიანის რეჟისორული პრაქტიკა არცთუ ისე დიდია, მას საკუთარი ალღო აქვს. რეპეტიციებზე იგი მუდამ ქმნის შემოქმედებითს ატმოსფეროს, უნარი შესწევს ზუსტად ახსნას ამოცანა, დააჯეროს მსახიობი თავის გადაწყვეტილებაში, რაც რეჟისორის მეტად ძვირფასი ღირსებაა. იგი არაერთი შემოქმედებითი, საიუბილეო თუ სახალხო დღესასწაულების დამდგმელი რეჟისორი და სცენარის შემქმნელია.

ზურაბის სპექტაკლები უყვარს მაყურებელს. დარბაზი ყოველთვის სავსეა მის სპექტაკლებზე. მას ხშირად იწვევენ დასადგმელად სახალხო თეატრებში.

ზურაბ კახიანი მართალი კაცია, სიკეთის მთესველი, უღალატო, ყოველთვის წრფელია მისი დამოკიდებულება ადამიანებთან. უყვარს ახალგაზრდები, უხარია მათი წარმატებები. იგი არასოდეს არ იჩენს უნდობლობას არავის მიმართ, თეატრის ერთგულია, — ერთი იმათთაგანია, ვისთვისაც თეატრი ყველაზე მთავარია ცხოვრებაში!

იზა კაპანაძე,
თეატრმცოდნე.

საღი აზრი იმარჯვებს

(დასასრული)

გაიმართა მრავალი მოლაპარაკება და დიალოგი საზოგადოებრივ მოძრაობათა ხელმძღვანელებს შორის, მოეწყო თათბირები და შეხვედრები ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, „ადამონ ნიხასისა“ და საქართველოს სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერებთან, შეხვედრები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრთან, რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, სახალხო ფრონტის და რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივ მოძრაობათა ხელმძღვანელებთან.

დაძაბულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. ორივე მხარემ მოიკრიბა ნებისყოფა, გასჭრა გონიერებამ, სამიტინგოდ ჩამოსულებმა აქვე გამართეს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომა, სადაც განჭვრიტეს შექმნილი სიტუაციის მოსალოდნელი მძიმე შედეგი და მოუწოდეს ხალხს, დაეცხროთ ემოციები, გამოეჩინათ გულისხმიერება და დაშლილიყვნენ. დათქვეს, რომ მომავალში მეგობრობის მიტინგის ჩატარების დროს წინასწარ შეატყობინებენ ცხინვალელებს და დიალოგის ვითარებაში გადაჭრიან იმ პრობლემებს, რომლებიც ორივე მხარეს აწუხებს.

ცხინვალში შექმნილმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად დაძაბა ვითარება თბილისშიც.

გუშინ, 24 ნოემბერს ჯერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობის წინ, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. შეკრებილებმა სოლიდარობა გამოუცხადეს 23 ნოემბერს ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩატარების მიზნით გამგზავრებულთ.

გუშინ დილითვე დედაქალაქში დაბრუნდა ცხინვალში ჩასულთა ერთი ნაწილი, ძირითადად ქალები.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ზოგიერთ მათგანს. თბილისში დაბრუნება, თქვეს მათ, საზოგადოებრივ მოძრაობათა ხელმძღვანელების სურვილი იყო, ამჟამად ცხინვალის შესასვლელთან დაგროვდა უამრავი ავტომანქანა, მოძრაობა ფაქტობრივად შეწყვეტილია. ამიტომ გადაწყდა ჩვენი უკან დაბრუნება.

თბილისში გამართული მიტინგის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას მიმართვა, რომელმაც რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას მოუწოდა გამოიჩინონ სიდინჯე, გონიერება, ნუ აჰყვებიან ემოციებს, არ დაუშვან ცხინვალში ხალხის ახალი ნაკადის ჩასვლა, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრებს სიტუაციას.

ცხინვალში ჩასულ ქართველთა მხარდასაჭერად მომიტინგეებმა დედაქალაქის ქუჩებში მოაწყვეს მასობრივი მსვლელობა.

გუშინ, 24 ნოემბერს, საღამოს, ცხინვალიდან მობრუნებულებმა მრავალათასიანი მიტინგი გამართეს გორში და განიხილეს საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, შემდეგ კი დაბრუნდნენ დედაქალაქში.

მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის 23 და 24 ნოემბერს სიტუაცია ცხინვალში უაღრესად დაძაბული იყო, საერთო ძალისხმევით თავიდან იქნა აცილებული არასასურველი გართულებები და ექსცესები.

საღმა აზრმა გაიმარჯვა.

„კომუნისტის“ და საქინფორმის კორესპონდენტები.



სურათებზე: ცხინვალის მისადგომებთან; მიტინგი რესპუბლიკის მთავრობის სახლთან თბილისში.
მიხეილ მათველაშვილისა და სიმონ კილაძის ფოტო.

სპორტული ორბიტა

ჭადრაკი. ბელგრადის საერთაშორისო ტურნირის მერვე ტურში გადაიდო გარი კასპაროვისა და ისლანდიელი იოჰან ჰიარტარსონის პარტია. კასპაროვი 6 ქულით კვლავ ლიდერობს. მას ქულით ჩამორჩება ჰოლანდიელი იან ტიმანი, რომელიც დაუზავდა ბრანკო დამლიანოვიჩს (იუგოსლავია). ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე არტურ იუსუპოვი და იან ელვესტი, რომლებმაც 4,5—4,5 ქულა მოაგროვეს. ამდენივე ქულა აქვს ნორვეგიელ სიმენ აგდესტეინს. მან მერვე ტურში დაამარცხა ინგლისელი ნაიჯელ შორტი.

ჩოგბურთი. საფრანგეთის ქალაქ ნანტში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. პირველ წრეში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი. ნატალია ზვერევამ მოუგო ბრენდა შულცს (3:6,6:3,7:5), ლეილა მესხმა — მანონ ბოლეგრაფს — 6:4,6:3, ზვერევა-სავჩენკოს წყვილმა — ბოლეგრაფ-ვისის ლეეტს —7:5, 6:2.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგე
მამული პროკოფის ძე ვადაჭკორია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

27 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ეკონომიკის კურსი. 14.20 — დოკუმენტური ფილმი „დაგვეხმარეთ, ვიცხოვროთ“ (პირველი ჩვენება). 14.50 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 15.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კუნძულები შორეულ გზებზე“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭრილობა“. 17.20 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.50 — „ჩვენი ჯაზ-კლუბი“. 18.50 — კინოჟურნალი. 19.00 — ხალხური შემოქმედება. სოფელი ქვაბლა. 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 20.55 — სოლიდარობის ეგიდით (განმეორებით). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 22.50 — კინოს სამყაროში.

მეორე პროგრამა. 17.20 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“. I და II სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მსხვერპლი“.

სამშაბათი

28 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჭასთან“. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერი“. 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვაზე და პატარა ბავშვებზე“ (პირველი ჩვენება). 18.00 — მოსწავლეთათვის. „ონის პიონერთა სახლი“. 18.15 — დიალოგი კომპიუტერთან. 18.40 — განცხადებები. 18.45 — მიწის სატკივარი. 19.25 — „საუნჯე“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოლომონის ბაღი“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.05 — „ცხოვრება კაცისა“. მარჯორი უორდროპი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — „შეხვედრები წმინდა მიწაზე“.

მეორე პროგრამა. 17.35 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პონი“. 18.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 18.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სამი ამბავი ტელეფონით“. 19.15 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მონტაჟი“. I და II სერია.

ოთხშაბათი

29 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — მხატვრული ფილმი „სანამ დავშორდებოდეთ“. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — დოკუმენტური ფილმი „ლატვიის წითელი წიგნი“ (პირველი ჩვენება). 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — ხალხური შემოქმედება. არაგვის ხეობის თვითმოქმედება. 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 18.00 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.45 — „მუშათა კონტროლი მოქმედებს“. 19.30 — საბჭოები და ეროვნული კონცეფცია. 20.00 — მოამბე. 20.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ასა“. პირველი სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — ლიტერატურული თეატრი. „პალესტინა, პალესტინა...“. 23.30 — „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ“.

მეორე პროგრამა. 17.35 — ქართული მხატვრული ფილმი „კარიერი“. 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოფლის ცეკვები“. 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 21.25 — მხატვრული ფილმი „ხან მოკლე შეხვედრები“.

ხუთშაბათი

30 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.20 — ათლეტიზმი. 14.50 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მთა მთას ესაუბრება“ და „ქარი ავსებს აფრებს“. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „იური ლიუბიმოვი — 5 წლის შემდეგ“ (პირველი ჩვენება). 16.55 — განცხადებები. 17.00 — საქართველოს საფეხბურთო მიმოხილვა. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“. 18.45 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 20.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სათავეებთან“. გიორგი ნიორაძე. 21.15 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — „მეს-ხი, მეს-ხი, მეს-ხი...“. 23.20 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ასა“. მეორე სერია.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სათვალთვალო მილი“. 17.25 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სანამ დავშორდებოდეთ“.

პარასკევი

1 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მხატვრული ფილმი „აპელაცია“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“. 17.05 — უფროსკლასელთათვის. საქართველოს ისტორია. 17.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დროით ნაკარნახევი“. 17.55 — მოსწავლეთათვის. „რა არის დიპლომატია“ (გადაცემა მეორე). 18.25 — განცხადებები. 18.30 — მიხეილ მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გახსნა მინი-ფეხბურთში. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 19.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყავი ჩემი სპილო“. 19.30 — თეატრალური აფიშა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „სიმღერით დარჩნენ“. დები იშხნელები. 21.10 — „რიონს გაღმა და გამოღმა“. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — კონცერტი. „მღერის მარიცა მაღლაფერიძე“. 23.25 — მ. მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბინდული სიჭაბუკის გარიჟრაჟზე“. 18.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — მხატვრული ფილმი „ეჭვი“.

შაბათი

2 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.35 — ათლეტიზმი. 11.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.35 — მულტპანორამა. 12.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბორბალი“. 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ხალხური შემოქმედება. „ფუძის ანგელოზი“. 13.20 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. „ყოჩაღი ბაკური“. 13.30 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 13.35 — ფილმის შუქ-ჩრდილი. მხატვრული ფილმი „გზის დასაწყისი“. 15.05 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 16.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.20 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.05 — „პოეზია“. ნელი გაბრიჩიძე. 17.40 — „ბუნება მბრძანებელია“. 18.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.40 — სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა“. 19.35 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. „იქ, სადაც თავისუფლება არ არსებობს“. 21.35 — ს. ნასიძის პიესები ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — მ. მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. 23.35 — ილუზიონი.

კვირა

3 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.55 — „მუსიკალური ფოსტა“. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — „კინომოზაიკა“. 12.45 — საკვირაო გამოცენა. ლ. გრიგოლია. 12.50 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.20 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.50 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. 14.35 — საკვირაო გამოფენა. ლ. გრიგოლია. 14.40 — „ვესტნიკი“. 15.10 — „მამული, ენა, სარწმუნოება“ (მე-4 გადაცემის გამეორება). 16.05 — საკვირაო გამოფენა. ლ. გრიგოლია. 16.10 — მღერის ვაჟთა ვოკალური ტრიო „თბილისი“. 16.30 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.10 — ნ. დუმბაძე. „საბრალდებო დასკვნა“ (რუსთაველის თეატრის სპექტაკლი). 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდობა“. 22.00 — შვიდი დღე. 23.00 — „ფაზისი“. მსოფლიოს გარშემო“. 23.30 — მ. მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში.

შაბათი, 25 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.35 — კამერული მუსიკის კონცერტი. 10.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ ხარ ვენახი“. 11.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 12.00 — „გახსენება“. ჯემალ თოფურიძე. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.50 — ქართული საგალობლების გამარჯვება პოლონეთში. 13.40 — XII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: სსრ კავშირი-ბრაზილია. 15.15 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.20 — საინფორმაციო გამოშვება. 15.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.35 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.20 — ხალხური შემოქმედება. „ლამაზი სევდა“. 16.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.40 — მოსწავლეთათვის. „აბა, დელია!“. 17.25 — ბუნების კარი. 18.15 — ხელოვნების ლექტორიუმი. 18.45 — საზოგადოება და კანონი. „სისასტიკე“ (განმეორებით). 19.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნინო ანანიაშვილი“. 19.40 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გმადლობთ“. გრ. კიკნაძე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“. 0.30 — საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.30 — საოჯახო აკადემია. 9.00 — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 10.30 — „წელიწადის დრონი“. ნოემბერი. 11.30 — „ხალხური შემოქმედება“. ტელემიმოხილვა. 12.00 — შაბათი მშობლების დღეა. 13.15 — სოციალიზმის ქვეყნებში. 13.45 — დოკუმენტური ფილმი. 14.55 — ჩვენი მემკვიდრეობა. „ძველი ფსკოვის ფერები“. 15.40 — აშკარა — დაუჯერებელი. 16.40 — „საფეხური პარნასისაკენ“. 16.55 — ანიმაციური კინოს პირველი საკავშირო ფესტივალის ფილმები. 17.30 — მხატვრული ფილმი „ივანეს ბავშვობა“. 19.15 — „პლანეტა“. საერთაშორისო პროგრამა. 20.15 — კონცერტი. 20.45 — მხატვრული ფილმი „ასა“. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — II სერია მხატვრული ფილმისა „ასა“. 0.05 — ტელემაყურებლის თანამგზავრი. 0.25 — „შუაღამემდე და ნაშუაღამევს“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სოფლის საათი. 10.20 — „სითბოსა და სიყვარულის სამყარო“. გადაცემა უფიდან. 10.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „გეშინოდეს, მტერო, მეცხრე ვაჟიშვილის“. 11.55 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი“. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — ტელევიზია TV-ს შესახებ. 13.10 — „სვირული ნაყშები“. გადაცემა ლენინგრადიდან. 13.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „სახელმწიფოს მარადი სიყვარული. მოსკოვის კრემლი“. III ფილმი — „კოშკები“. 14.00 — სატელევიზიო ექსკურსია. მ. ი. ლერმონტოვი მოსკოვში. 14.40 — ტელეფილმი „მსახიობი ვიქტორ კორშუნოვი“. 15.40 — გფრ-ის ტელევიზიის პროგრამა. 17.00 — ფილმ-სპექტაკლი. 18.00 — სსრ კავშირის შსს გვატყობინებს. 18.10 — ფილმ-სპექტაკლი. 19.10 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი. ი. ბელზა — „ეტიუდები სკრიაბინზე“. IV გადაცემა — „პრომეთე“. 20.00 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — მხატვრული ტანვარჯიში. ინტერხედვის თასი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფილმ-კონცერტი. 23.45 — ახალი ამბები. 23.55 — კალათბურთი. შესარჩევი მატჩი. ვაჟები. სსრ კავშირისა და ისრაელის ნაკრები გუნდები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60434 უე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14